

სახელმძღვანელო რეკომენდაცია ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღებისა და პროფაილინგის შესახებ, 2016/679 რეგულაციის მიზნებისთვის

2017 წლის 3 ოქტომბერი
ბოლო გადახედვის და მიღების თარიღი: 2018 წლის 6 თებერვალი

სამუშაო ჯგუფი შექმნილია 95/46/EC დირექტივის 29-ე მუხლის საფუძველზე. იგი დამოუკიდებელი ევროპული საკონსულტაციო ორგანოა, რომელიც მუშაობს მონაცემთა დაცვისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის საკითხებზე. მისი ფუნქციები აღწერილია 95/46/EC დირექტივის 30-ე მუხლში და 2002/58/EC დირექტივის მე-15 მუხლში.

სამდივნო უზრუნველყოფილია ევროკომისიის ფუნდამენტური უფლებებისა და მოქალაქეობის დირექტორატის მიერ, მართლმსაჯულების გენერალური დირექტორატი, ბელგია, ოფისი No MO-59 02/013.

ვებგვერდი: <http://ec.europa.eu/newsroom/article29/news.cfm?item type=1358&tpa id=6936>

წინამდებარე სახელმძღვანელო რეკომენდაციის თარგმანი მომზადდა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) საჯარო მმართველობის აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონული ფონდის პროექტის ფარგლებში და წარმოადგენს არაოფიციალურ თარგმანს.

პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით ფიზიკურ პირთა უფლებების დაცვის შესახებ სამუშაო ჯგუფი,

რომელიც შექმნილია ევროპული პარლამენტის და საბჭოს 1995 წლის 24 ოქტომბრის 95/46/EC დირექტივის საფუძველზე,

აღნიშნული დირექტივის 29-ე და 30-ე მუხლების გათვალისწინებით,

სამუშაო ჯგუფის რეგლამენტზე დაყრდნობით,

ამტკიცებს ქვემოთ წარმოდგენილ სახელმძღვანელო პრინციპებს:

სარჩევი

| | |
|---|----|
| I. შესავალი..... | 5 |
| II. განმარტებები | 7 |
| A. პროვაილინგი..... | 7 |
| B. ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღება..... | 10 |
| C. ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღების და პროვაილინგის კონცეფციები, GDPR-ის მიხედვით | 11 |
| III. ზოგადი დებულებები პროვაილინგის და ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღების შესახებ.. | 12 |
| A. მონაცემთა დაცვის პრინციპები..... | 12 |
| 1. მუხლი 5(1)(a) - კანონიერი, სამართლიანი და გამჭვირვალე | 12 |
| 2. მუხლი 5(1)(b): შემდგომი დამუშავების და მიზნის შეზღუდვა | 14 |
| 3. მუხლი 5(1)(c): მონაცემთა მინიმუზაცია..... | 15 |
| 4. მუხლი 5(1)(d): სიზუსტე | 16 |
| 5. მუხლი 5(1)(e): შენახვის ვადის შეზღუდვა | 16 |
| B. დამუშავების კანონიერი საფუძველი..... | 17 |
| 1. მუხლი 6(1)(a): თანხმობა | 17 |
| 2. მუხლი 6(1)(b) - აუცილებელი ხელშეკრულების შესრულებისთვის | 18 |
| 3. მუხლი 6(1)(c) - აუცილებელი სამართლებრივი ვალდებულების შესასრულებლად | 19 |
| 4. მუხლი 6(1)(d) - აუცილებელი სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად..... | 19 |
| 5. მუხლი 6(1)(e) - აუცილებელია საჯარო ინტერესის სფეროში შემავალი ამოცანების შესასრულებლად ან ოფიციალური უფლებამოსილების განსახორციელებლად | 20 |
| 6. მუხლი 6(1)(f) - აუცილებელია დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან მესამე მხარის კანონიერი ინტერესების დასაცავად | 20 |
| C. მუხლი 9 - განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები..... | 21 |
| D. მონაცემთა სუბიექტის უფლებები | 22 |
| 1. მე-13 და მე-14 მუხლები - ინფორმაციის მიღების უფლება | 23 |
| 2. მუხლი 15 - წვდომის უფლება..... | 24 |
| 3. მუხლი 16 - მონაცემთა გასწორების უფლება, მუხლი 17 - მონაცემთა წაშლის უფლება და მუხლი 18 - მონაცემთა დაბლოკვის უფლება..... | 25 |
| 4. მუხლი 21 - მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნის უფლება | 26 |
| IV. სპეციფიკური დებულებები, რომლებიც ეხება მხოლოდ ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღებას, რომელიც განსაზღვრულია 22-ე მუხლში | 28 |
| A. მხოლოდ ავტომატიზებული დამუშავების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება | 30 |
| B. „სამართლებრივი შედეგი“ ან „მსგავსი არსებითი მნიშვნელობის მქონე სხვა შედეგი“ | 31 |
| C. გამონაკლისები აკრძალვიდან..... | 34 |
| 1. ხელშეკრულების შესრულება | 34 |
| 2. დასაშვებია ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონით..... | 35 |
| 3. აშკარად გამონატული თანხმობა..... | 36 |
| D. განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემები - მუხლი 22(4) | 36 |

| | |
|---|-----------|
| <i>E. მონაცემთა სუბიექტის უფლებები.....</i> | <i>37</i> |
| 1. მუხლები 13(2)(f) და 14(2)(g) - ინფორმაციის მიღების უფლება..... | 37 |
| 2. მუხლი 15(1)(h) - წვდომის უფლება | 40 |
| F. სათანადო გარანტიების შექმნა | 41 |
| V. არასრულწლოვნები და პროფაილინგი | 43 |
| VI. მონაცემთა დაცვაზე ზემოქმედების შეფასება (DPIA) და მონაცემთა დაცვის ოფიცერი (DPO) | 45 |
| დანართი 1 - კარგი პრაქტიკის რეკომენდაციები..... | 48 |
| დანართი 2 – GDPR-ის ძირითადი დებულებები..... | 52 |
| დანართი 3 - დამატებითი საკითხავი..... | 59 |

I. შესავალი

მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია (GDPR) ეხება პროფაილინგს და ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილებების მიღებას, პროფაილინგის ჩათვლით.¹

პროფაილინგი და ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღება გამოიყენება მზარდი რაოდენობის სექტორებში, როგორც კერძო, ისე საჯარო სფეროებში. საბანკო საქმე და ფინანსები, ჯანდაცვა, გადასახადები, დაზღვევა, მარკეტინგი და რეკლამა იმ სფეროების რამდენიმე მაგალითია, სადაც პროფაილინგი ხორციელდება შედარებით რეგულარულად, გადაწყვეტილების მიღების პროცესის ხელშეწყობის მიზნით.

ტექნოლოგიურმა წინსვლამ და დიდ მონაცემთა ანალიზის შესაძლებლობებმა, ხელოვნურმა ინტელექტმა და მანქანურმა სწავლებამ გააადვილა პროფილების შექმნა და ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღება, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ფიზიკური პირების უფლებებზე და თავისუფლებებზე.

ინტერნეტში და საგნების ინტერნეტთან დაკავშირებულ მოწყობილობებზე პერსონალური მონაცემების ფართოდ გავრცელებული ხელმისაწვდომობა და კორელაციების მოძიებისა და კავშირების შექმნის შესაძლებლობა ხელს უწყობს ფიზიკური პირის პიროვნების ან ქცევის, ინტერესების და ჩვევების გარკვეული ასპექტების განსაზღვრას, გაანალიზებას და პროგნოზირებას.

¹ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის რეგულაცია (EU) 2016/679 პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ, რომელიც აუქმებს 95/46/EC დირექტივას. პროფილირების და ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღების საკითხს, აგრეთვე, არეგულირებს ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის დირექტივა (EU) 2016/680 „უფლებამოსილი ორგანოების მიერ დანაშაულის პრევენციის, გამოძიების, დადგენის, სისხლისსამართლებრივი დევნის ან სასჯელის აღსრულების მიზნით პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ“. წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპები ყურადღებას ამახვილებს პროფაილინგზე და ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღებაზე, GDPR-ის შესაბამისად; ამავდროულად, მასში წარმოდგენილი ინსტრუქციები რელევანტურია 2016/680 დირექტივით გათვალისწინებულ ორ თემასთან და შესაბამის დებულებებთან მიმართებით. წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპები არ მოიცავს 2016/680 დირექტივის მიხედვით პროფილირების და ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღების სპეციფიკური მახასიათებლების ანალიზს, ვინაიდან ამ კუთხით ინსტრუქციებს შეიცავს დასკვნა WP258, რომელიც ეხება „სამართალდამცავი ორგანოების შესახებ დირექტივის (EU 2016/680) რამდენიმე ძირითად საკითხს“ და მიღებულია 2017 წლის 29 ნოემბერს WP29-ის მიერ. აღნიშნული დასკვნა ეხება ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღებას და პროფაილინგს სამართალდამცავი ორგანოების მიერ მონაცემების დამუშავების კონტექსტში, გვ.გვ.11-14 და ხელმისაწვდომია მისამართზე: http://ec.europa.eu/newsroom/article29/item-detail.cfm?item_id=610178.

პროფაილინგი და ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღება შესაძლოა სასარგებლო იყოს ფიზიკური პირებისა და ორგანიზაციებისთვის. ეს პროცესები უზრუნველყოფს ისეთი სარგებლის მიღებას, როგორცაა:

- გაზრდილი ეფექტურობა და
- რესურსების დაზოგვა.

პროფაილინგი და ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღება გამოიყენება კომერციულ სფეროში, მაგალითად, ბაზრების სეგმენტირებისთვის და სერვისებისა თუ პროდუქტების მომხმარებელთა საჭიროებებზე მორგებისთვის. აღნიშნულ პროცესებს, აგრეთვე, სარგებელი მოაქვს მედიცინის, განათლების, ჯანდაცვის და ტრანსპორტის სფეროებში.

ამავდროულად, პროფაილინგი და ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღება მნიშვნელოვან რისკებს უქმნის ფიზიკურ პირთა უფლებებს და თავისუფლებებს და სათანადო გარანტიებს (დაცვის მექანიზმებს) საჭიროებს.

შესაძლებელია, რომ აღნიშნული პროცესები იყოს გაუმჭვირვალე. ფიზიკურ პირებს, შესაძლოა, არ ჰქონდეთ ინფორმაცია, რომ ხდება მათი პროფაილინგი ან არ ესმოდეთ, თუ რას მოიცავს ეს პროცესები.

პროფაილინგის შედეგად, შესაძლოა, განმტკიცდეს არსებული სტერეოტიპები და სოციალური სეგრეგაცია. პროფაილინგმა, შესაძლოა, ადამიანი კონკრეტულ კატეგორიაში „ჩაკეტოს“ და მისი არჩევანი შეზღუდოს პროფაილინგის შედეგად შერჩეული ვარიანტებით. აღნიშნულმა, შესაძლოა, აგრეთვე, უარყოფითი გავლენა იქონიოს მათ თავისუფლებაზე, აირჩიონ, მაგალითად, გარკვეული პროდუქტები ან სერვისები, როგორცაა: წიგნები, მუსიკა და სიახლეების ზოლი („ნიუსფიდი“). სხვა შემთხვევებში, ამან შესაძლოა გამოიწვიოს გარკვეულ სერვისებზე და პროდუქტებზე უარის თქმა და გაუმართლებელი დისკრიმინაცია.

GDPR-ი ითვალისწინებს ახალ დებულებებს, რომლებიც ეხება პროფაილინგიდან და ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღებიდან მომდინარე რისკებს, განსაკუთრებით, მონაცემთა დაცვასთან (კონფიდენციალობასთან) მიმართებით. წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპების მიზანია ამ დებულებების განმარტება.

წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს:

- პროფაილინგის და ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღების განმარტებებს და GDPR-ის მიდგომას ამ საკითხების მიმართ - თავი II
- ზოგად დებულებებს პროფაილინგის და ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღების შესახებ - თავი III
- სპეციფიკურ დებულებებს კონკრეტულად ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღების შესახებ - თავი IV
- არასრულწლოვნები და პროფაილინგი - თავი V

- მონაცემთა დაცვაზე ზემოქმედების შეფასება და მონაცემთა დაცვის ოფიცრები - თავი VI

დანართში წარმოდგენილია რეკომენდაციები კარგი პრაქტიკის შესახებ, რომელიც ეფუძნება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში დაგროვილ გამოცდილებას.

29-ე მუხლის სამუშაო ჯგუფი (WP29) მონიტორინგს გაუწევს წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპების იმპლემენტაციას და შესაძლოა, მომავალში წარმოადგინოს დამატებითი დეტალები, საჭიროების შესაბამისად.

II. განმარტებები

GDPR-ი შეიცავს დებულებებს, რომლებიც უზრუნველყოფს პროფაილინგის და ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღების (იმის მიუხედავად, მოიცავს თუ არა ეს პროფაილინგს) იმგვარად გამოყენების პრევენციას, რომელსაც გაუმართლებელი გავლენა აქვს ფიზიკური პირების უფლებებზე; ეს დებულებებია, მაგალითად:

- გამჭვირვალობის და სამართლიანობის სპეციფიკური მოთხოვნები;
- ანგარიშვალდებულების მომეტებული ვალდებულებები;
- სპეციფიკური სამართლებრივი საფუძვლები დამუშავებისთვის;
- ფიზიკურ პირთა უფლება, მოითხოვოს პროფაილინგის შეწყვეტა, კერძოდ, პროფაილინგისა, რომელიც მარკეტინგული მიზნებისთვის ხორციელდება; და
- გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, მონაცემთა დაცვაზე ზემოქმედების შეფასების განხორციელება.

GDPR-ი ყურადღებას ამახვილებს არა მხოლოდ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც ავტომატიზებული დამუშავების ან პროფაილინგის შედეგად მიიღება, არამედ, იგი, აგრეთვე, ვრცელდება მონაცემების შეგროვებაზე პროფილების შექმნის მიზნით, ისევე, როგორც ამ პროფილების ფიზიკური პირების მიმართ გამოყენებაზე.

A. პროფაილინგი

GDPR-ში პროფაილინგის განმარტებას შეიცავს 4(4) მუხლი, კერძოდ:

პერსონალური მონაცემების ავტომატიზებული დამუშავების ნებისმიერი ფორმა, რომელიც მოიცავს პერსონალური მონაცემების გამოყენებას ფიზიკურ პირთან დაკავშირებული გარკვეული პიროვნული მახასიათებლების შესაფასებლად, კერძოდ, იმ მახასიათებლების ანალიზსა და პროგნოზირებას, რომლებიც შეეხება ფიზიკური პირის მიერ სამუშაოს შესრულების ხარისხს, ეკონომიკურ

მდგომარეობასთან, ჯანმრთელობას, პირად უპირატესობებს, ინტერესებს, სანდოობას, ქცევას, ადგილმდებარეობას ან გადაადგილებას;

პროფაილინგი შედგება სამი ელემენტისგან:

- დამუშავების ავტომატიზებული ფორმა;
- პერსონალური მონაცემების დამუშავება; და
- ფიზიკური პირის შესახებ პიროვნული მახასიათებლების შეფასება.

4(4) მუხლი მიუთითებს მონაცემების 'ავტომატიზებული დამუშავების ნებისმიერ ფორმაზე' და არა 'მხოლოდ' ავტომატიზებულ დამუშავებაზე (რომელზეც მიუთითებს 22-ე მუხლი). პროფაილინგი უნდა მოიცავდეს ავტომატიზებული დამუშავების გარკვეულ ფორმას - თუმცა, დამუშავებაში ადამიანის მონაწილეობა არ ნიშნავს, რომ აქტივობა აღნიშნული განმარტების ფარგლებს გარეთ ხვდება.

პროფაილინგი არის პროცედურა, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს სტატისტიკური დედუქციების სერიას. იგი ხშირად გამოიყენება ადამიანების შესახებ ინფორმაციის პროგნოზირებისთვის. პროფაილინგი ადამიანის შესახებ დასკვნის გასაკეთებლად იყენებს მონაცემებს სხვადასხვა წყაროებიდან და ეყრდნობა სტატისტიკურად მსგავსი ადამიანების მახასიათებლებს.

GDPR-ის თანახმად, პროფაილინგი არის პერსონალური მონაცემების ავტომატიზებული ფორმით დამუშავება ადამიანის პიროვნული მახასიათებლების შესაფასებლად, კერძოდ, ადამიანის მახასიათებლების ანალიზისა და პროგნოზირებისთვის. სიტყვა „შეფასების“ გამოყენება ნიშნავს იმას, რომ პროფაილინგი გულისხმობს ადამიანის შესახებ შეფასების ან მსჯელობის გარკვეულ ფორმას.

ფიზიკურ პირთა მარტივი კლასიფიკაცია ისეთი მახასიათებლების მიხედვით, როგორცაა ასაკი, სქესი და სიმაღლე, შესაძლოა, არ წარმოადგენდეს პროფაილინგს. აღნიშნული დამოკიდებული იქნება კლასიფიკაციის მიზანზე. მაგალითად, თუ კომპანიას საკუთარი მომხმარებლების კლასიფიკაცია სურს მათი ასაკის და გენდერის მიხედვით, სტატისტიკური მიზნებისთვის და საკუთარი კლიენტების ზოგადი მიმოხილვისთვის, მათი მახასიათებლების შესახებ პროგნოზების ან დასკვნების გაკეთების გარეშე, დამუშავების მიზანი არ არის ფიზიკური პირის მახასიათებლების შეფასება. შესაბამისად, აღნიშნული არ წარმოადგენს პროფაილინგს.

GDPR-ის განმარტება გარკვეულწილად ეფუძნება ევროპის საბჭოს CM/Rec (2010)13 რეკომენდაციაში² წარმოდგენილ განმარტებას პროფაილინგის შესახებ, თუმცა, არ

² ევროპის საბჭო. ფიზიკურ პირთა დაცვა პერსონალური მონაცემების ავტომატიზებულ დამუშავებასთან მიმართებით, პროფილირების კონტექსტში. რეკომენდაცია CM/Rec(2010)13 და განმარტებითი მემორანდუმი. ევროპის საბჭო. 2010 წლის 23 ნოემბერი.

[https://www.coe.int/t/dghl/standardsetting/cdcj/CDCJ%20Recommendations/CMRec\(2010\)13E_Profiling.pdf](https://www.coe.int/t/dghl/standardsetting/cdcj/CDCJ%20Recommendations/CMRec(2010)13E_Profiling.pdf).

არის მისი იდენტური, თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული რეკომენდაცია გამოორიგხავს დამუშავებას, რომელიც არ გულისხმობს დასკვნების გაკეთებას. ამავდროულად, რეკომენდაციაში ეფექტურადაა განმარტებული, რომ პროფაილინგი, შესაძლოა, მოიცავდეს სამ სხვადასხვა ეტაპს:

- მონაცემთა შეგროვება;
- ავტომატიზებული ანალიზი კორელაციების განსაზღვრის მიზნით;
- კორელაციის გამოყენება ფიზიკური პირის მიმართ, მისი ამჟამინდელი ან სამომავლო ქცევის მახასიათებლების იდენტიფიცირებისთვის.

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირები, რომლებიც პროფაილინგს ახორციელებენ, ვალდებული არიან, უზრუნველყონ GDPR-ის მოთხოვნების დაკმაყოფილება თითოეულ შემთხვევაში ჩამოთვლილ ეტაპთან მიმართებით.

ზოგადად, პროფაილინგი გულისხმობს ფიზიკური პირის (ან ფიზიკურ პირთა ჯგუფის) შესახებ ინფორმაციის შეგროვებას და მათი მახასიათებლების ან ქცევითი მოდელების შეფასებას, რათა მოხდეს მათი გარკვეულ კატეგორიაში ან ჯგუფში მოთავსება, კერძოდ, გაანალიზდეს ან გაკეთდეს პროგნოზები, მაგალითად, მათი:

- შესაძლებლობის შესახებ, შეასრულონ გარკვეული ფუნქცია;
- ინტერესების შესახებ; ან
- სავარაუდო ქცევის შესახებ.

მაგალითი

მონაცემთა ბროკერი აგროვებს მონაცემებს სხვადასხვა საჯარო და კერძო წყაროებიდან, კლიენტების სახელით ან საკუთარი მიზნებისთვის. მონაცემთა შეგროვების მიზანია პროფილების შექმნა ფიზიკური პირების შესახებ და მათი სხვადასხვა სემენტებში განთავსება. მონაცემთა ბროკერი ამ ინფორმაციას ყიდის კომპანიებზე, რომელთაც სურთ თავიანთი სერვისების და პროდუქტების მომხმარებელთა კონკრეტული ჯგუფების ინტერესებზე მორგება. მონაცემთა ბროკერი პროფაილინგს ახორციელებს ადამიანების კატეგორიებად დაყოფის გზით, მათი ინტერესების შესაბამისად.

წარმოადგენს თუ არა აღნიშნული ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღებას, 22(1) მუხლში მოცემული განმარტების შესაბამისად, დამოკიდებული იქნება გარემოებებზე.

B. ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღება

ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღებას აქვს მოქმედების განსხვავებული სფერო, თუმცა, შესაძლებელია, რომ იგი ნაწილობრივ მოიცავდეს ან განაპირობებდეს პროფაილინგს. ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს ტექნოლოგიური საშუალებებით გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, ადამიანური რესურსის ჩართვის გარეშე. ავტომატიზებული საშუალებებით მიღებული გადაწყვეტილებები, შესაძლოა, ეფუძნებოდეს რაიმე ტიპის მონაცემებს, მაგალითად:

- შესაბამისი პირებისგან პირდაპირ მიღებული მონაცემები (მაგ., კითხვარის შევსების გზით);
- შესაბამისი პირების დაკვირვების შედეგად მიღებული მონაცემები (როგორცაა, ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი მონაცემები, რომლის შეგროვებაც ხდება აპლიკაციის საშუალებით);
- წარმოებული ან ნავარაუდები მონაცემები, როგორცაა ფიზიკური პირის არსებული პროფილი (მაგ., საკრედიტო ქულა).

ავტომატიზებული საშუალებებით მიღებული გადაწყვეტილებები შესაძლოა ეფუძნებოდეს პროფაილინგს; პროფაილინგი შესაძლოა განხორციელდეს ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღების გარეშე. ამავდროულად, პროფაილინგი და ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღება, შესაძლოა, ერთ აქტივობას წარმოადგენდეს. დამუშავება, რომელიც იწყება მარტივი, ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღებით, შესაძლოა, შემდგომ დაეფუძნოს პროფაილინგს, იმის მიხედვით, თუ როგორ მოხდება მონაცემების გამოყენება.

მაგალითი

ჯარიმების გამოწერა მხოლოდ სიჩქარის მზომი კამერებიდან მიღებულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით წარმოადგენს ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღების პროცესს, რომელიც არ მოიცავს პროფაილინგს.

ამავდროულად, თუ განხორციელდება დროის გარკვეულ მონაკვეთში ფიზიკური პირის ჩვევების მონიტორინგი და ჯარიმის დაკისრება მოხდება სხვა ფაქტორების გათვალისწინებით (მაგ., იყო თუ არა ეს სიჩქარის გადაჭარბების განმეორებითი შემთხვევა, მძღოლს აქვს თუ არა საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის სხვა შემთხვევები), ასეთ დროს, გადაწყვეტილება დაეფუძნება პროფაილინგს.

გადაწყვეტილებები, რომლებიც ნაწილობრივ ავტომატიზებული საშუალებებითაა მიღებული, შესაძლებელია, მოიცავდეს პროფაილინგს - მაგ., იპოთეკური სესხის დამტკიცებამდე ბანკი ითვალისწინებს მსესხებლის საკრედიტო ქულას. ამასთან, პირის მიმართ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, განმცხადებლის მიმართ ხორციელდება გარკვეული მნიშვნელოვანი ინტერვენციები.

C. ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღების და პროფაილინგის კონცეფციები, GDPR-ის მიხედვით

პროფაილინგის გამოყენების სამი ძირითადი გზა არსებობს:

- i. ზოგადი პროფაილინგი
- ii. გადაწყვეტილების მიღება პროფაილინგის საფუძველზე;
- iii. გადაწყვეტილების მიღება *მხოლოდ* ავტომატიზებული საშუალებებით, პროფაილინგის ჩათვლით, რაც წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს ან მსგავსი მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მონაცემთა სუბიექტზე (მუხლი 22[1]).

(ii) პუნქტსა და (iii) პუნქტს შორის განსხვავება ყველაზე უკეთ ჩანს ქვემოთ წარმოდგენილ ორ მაგალითში, რომელიც ეხება ონლაინ სესხის მიღებას:

- ადამიანი იღებს გადაწყვეტილებას სესხის დამტკიცების შესახებ, მხოლოდ ავტომატიზებული საშუალებებით შექმნილ პროფილზე დაყრდნობით (ii);
- ალგორითმი იღებს გადაწყვეტილებას სესხის დამტკიცების შესახებ, ხოლო გადაწყვეტილება ავტომატურად ეგზავნება პირს, ადამიანის მიერ რაიმე წინასწარი და მნიშვნელოვანი შეფასების გარეშე (iii).

დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირებს შეუძლიათ პროფაილინგის და ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღების განხორციელება იმ პირობით, თუ ისინი დააკმაყოფილებენ ყველა პრინციპს და ექნებათ დამუშავების კანონიერი საფუძველი. დამატებითი გარანტიები და შეზღუდვები მოქმედებს გადაწყვეტილების მხოლოდ ავტომატიზებული საშუალებებით მიღებაზე, მათ შორის, პროფაილინგზე, 22(1) მუხლის შესაბამისად.

წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპების III თავში განმარტებულია GDPR-ის დებულებები, რომლებიც ვრცელდება პროფაილინგის და ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღების ყველა შემთხვევაზე, მათ შორის, გადაწყვეტილების მიღების პროცესებზე, რომლებიც არ არიან სრულად ავტომატიზებული.

IV თავი განმარტავს იმ სპეციფიკურ დებულებებს, რომლებიც გადაწყვეტილების მხოლოდ ავტომატიზებული საშუალებით მიღებაზე ვრცელდება, მათ შორის, პროფაილინგზე.³ ამ სახის დამუშავებასთან დაკავშირებით არსებობს ზოგადი აკრძალვა, რათა არ შეექმნას საფრთხე ფიზიკური პირების უფლებებს და თავისუფლებებს.

³ როგორც ეს განმარტებულია GDPR-ის 22(1) მუხლში.

III. ზოგადი დებულებები პროფაილინგის და ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღების შესახებ

მე-3 თავი მიმოიხილავს იმ დებულებებს, რომლებიც ვრცელდება პროფაილინგის და ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღების ყველა შემთხვევაზე. დამატებითი, სპეციფიკური დებულებები, რომლებიც განხილულია მე-4 მუხლში, მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ დამუშავება 22(2) მუხლში წარმოდგენილ განმარტებას აკმაყოფილებს.

A. მონაცემთა დაცვის პრინციპები

ქვემოთ განხილული პრინციპები რელევანტურია პროფაილინგისა და ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევებში, რომლებიც პერსონალურ მონაცემებს ეხება.⁴ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი ძირითადი მიმართულებები:

1. მუხლი 5(1)(a) - კანონიერი, სამართლიანი და გამჭვირვალე

დამუშავების გამჭვირვალობა⁵ GDPR-ის ფუნდამენტური მოთხოვნაა.

პროფაილინგის პროცესი, ხშირად, მონაცემთა სუბიექტისათვის უხილავია. იგი გულისხმობს ნაწარმოები ან ნავარაუდები მონაცემების შექმნას ფიზიკური პირების შესახებ - ეს არის „ახალი“ პერსონალური მონაცემები, რომლებიც არ არის მოწოდებული პირდაპირ მონაცემთა სუბიექტის მიერ. განსხვავდება ფიზიკურ პირთა აღქმის/გააზრების დონეები. შესაბამისად, შესაძლებელია რთული იყოს იმ კომპლექსური ტექნიკის გააზრება, რომლის გამოყენებითაც ხორციელდება პროფაილინგი და ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღება.

12.1 მუხლის თანახმად, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს ლაკონური, გამჭვირვალე, გასაგები და ადვილად მისაწვდომი ინფორმაცია მათი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ.⁶

⁴ GDPR-ის პრეამბულა, 72-ე პუნქტი: „პროფაილინგი ექვემდებარება ამ რეგულაციის ნორმებს, რომლებიც არეგულირებს პერსონალური მონაცემების დამუშავებას, როგორცაა დამუშავების სამართლებრივი საფუძვლები ან მონაცემთა დამუშავების პრინციპები.“

⁵ WP29-ის სახელმძღვანელო პრინციპები გამჭვირვალობის შესახებ გამჭვირვალობას განიხილავს უფრო დეტალურად, 29-ე მუხლის სამუშაო ჯგუფი. სახელმძღვანელო პრინციპები გამჭვირვალობის შესახებ, 2016/679 რეგულაციის მიხედვით, WP260, 2017 წლის 28 ნოემბერი, http://ec.europa.eu/newsroom/just/document.cfm?doc_id=48850, ნანახია 2017 წლის 18 დეკემბერს.

⁶ ავსტრალიის ინფორმაციის კომისრის ოფისი. საკონსულტაციო პროექტი: სახელმძღვანელო დიდი მონაცემების და ავსტრალიის მონაცემთა დაცვის პრინციპების შესახებ, 05/2016: „კონფიდენციალობის შეტყობინება მომხმარებელს უნდა აწვდიდეს ინფორმაციას დამუშავების პრაქტიკების შესახებ, მკაფიო, მარტივი და ამავდროულად, ამომწურავი და საკმარისად დეტალური ფორმით, რათა ეს ინფორმაცია იყოს სასარგებლო. სწორედ ის ტექნოლოგია, რომელიც პერსონალური ინფორმაციის დიდი

პირდაპირ მონაცემთა სუბიექტისგან შეგროვებული მონაცემების შემთხვევაში, აღნიშნული ინფორმაცია მონაცემთა სუბიექტს უნდა მიეწოდოს შეგროვების დროს (მუხლი 13); ირიბად შეგროვებული მონაცემების შემთხვევაში, ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს 14(3) მუხლით დადგენილ ვადებში.

მაგალითი

ზოგიერთი სადაზღვევო კომპანია მომხმარებლებს სადაზღვევო პაკეტების საფასურს და სერვისებს სთავაზობს მანქანის მართვასთან დაკავშირებული ქცევის შესაბამისად. ელემენტები, რომელსაც სადაზღვევო კომპანია ითვალისწინებს, მოიცავს: გავლილ მანძილს, მანქანის ტარების კუთხით გამოცდილებას, (ჭკვიან) მანქანაში სენსორების საშუალებით შეგროვებული მონაცემების საფუძველზე გაკეთებულ პროგნოზებს. შეგროვებული მონაცემები გამოიყენება პროფაილინგისთვის, რათა მოხდეს მანქანის მართვასთან დაკავშირებული არასათანადო ქცევის იდენტიფიცირება (მაგ., სწრაფად აჩქარება, მოულოდნელად შენელება და სიჩქარის გადაჭარბება). ამ ინფორმაციის გადამოწმება ხდება სხვა წყაროებთან (მაგ., ამინდი, გზის დატვირთულობა, გზის ტიპი), მძღოლის ქცევის უკეთ გაანალიზების მიზნით.

დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს ამ ტიპის დამუშავებისთვის კანონიერი საფუძველი უნდა ჰქონდეს. დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა მონაცემთა სუბიექტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია შეგროვებული მონაცემების და საჭიროების შემთხვევაში, 22-ე მუხლის (1) და (4) პუნქტებში მითითებული ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღების არსებობის შესახებ, გამოყენებული ლოგიკის და ამგვარი დამუშავების მნიშვნელობისა და გათვალისწინებული შედეგების თაობაზე.

სპეციფიკური მოთხოვნები, რომლებიც უკავშირდება მონაცემთა სუბიექტის ინფორმირებას და პერსონალური მონაცემების ხელმისაწვდომობას განხილულია III (სექცია D) და IV (სექცია E) თავებში.

დამუშავება უნდა იყოს სამართლიანი და გამჭვირვალე.

პროფაილინგი, შესაძლოა, იყოს უსამართლო და ქმნიდეს დისკრიმინაციას - მაგ., თუ ადამიანებს ეზღუდებათ დასაქმების შესაძლებლობები, კრედიტის ან დაზღვევის მიღების შესაძლებლობა, და პროფაილინგის საფუძველზე მათ სთავაზობენ ზედმეტად სარისკო და ძვირადღირებულ ფინანსურ პროდუქტებს. ქვემოთ წარმოდგენილი მაგალითი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს 5(1)(a) მუხლით დადგენილ

მოცულობით შეგროვების შესაძლებლობას იძლევა, აგრეთვე, ქმნის შესაძლებლობას, მომხმარებლებს წარედგინოთ უფრო დინამიური, მრავალმხრივი და მომხმარებელზე ორიენტირებული კონფიდენციალობის პოლიტიკა.“ <https://www.oaic.gov.au/engage-with-us/consultations/guide-to-big-data-and-the-australian-privacy-principles/consultation-draft-guide-to-big-data-and-the-australian-privacy-principles>. ნანახია 2017 წლის 24 აპრილს.

მოთხოვნებს, ასახავს უსამართლო პროფაილინგის შედეგებს - გარკვეული კატეგორიის მომხმარებლებისთვის სხვებთან შედარებით ნაკლებად ხელსაყრელი პროდუქტების/სერვისების შეთავაზება.

მაგალითი

მონაცემთა ბროკერი ახორციელებს მომხმარებლის პროფილების მიყიდვას ფინანსური კომპანიებისთვის, მომხმარებლის ნებართვის და ინფორმირების გარეშე. პროფილების მიხედვით, მომხმარებლები იყოფიან სხვადასხვა კატეგორიებად (მაგ., „სოფლად მცხოვრები და ღარიბი მომხმარებლები“, „ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი, ქალაქში მცხოვრები და ღარიბი მომხმარებლები“, „ახალგაზრდა მარტოხელა მშობლები“ და სხვა). მომხმარებელთა შეფასება ხდება მათი ფინანსური მოწყვლადობის მიხედვით. ფინანსური კომპანიები აღნიშნულ მომხმარებლებს სთავაზობენ სწრაფ სესხებს და სხვა „არა-ტრადიციულ“ ფინანსურ სერვისებს (მაღალ პროცენტთან სესხებს და სხვა ფინანსურად სარისკო პროდუქტებს).⁷

2. მუხლი 5(1)(b): შემდგომი დამუშავების და მიზნის შეზღუდვა

პროფაილინგი, შესაძლოა, მოიცავდეს პერსონალური მონაცემების გამოყენებას, რომელიც თავდაპირველად სხვა მიზნით შეგროვდა.

მაგალითი

ზოგიერთი მობილური აპლიკაცია უზრუნველყოფს ადგილმდებარეობის აღმნიშვნელ სერვისებს, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს, იპოვოს ახლოს მდებარე რესტორანი და ისარგებლოს ფასდაკლებით. ამავდროულად, შეგროვებული მონაცემები გამოიყენება მონაცემთა სუბიექტის შესახებ პროფილის შესაქმნელად, მარკეტინგული მიზნებისთვის - იმის დასადგენად, თუ რა სახის საკვებს ანიჭებს უპირატესობას ან ზოგადად, რა ცხოვრების წესით ცხოვრობს. მონაცემთა სუბიექტს აქვს მოლოდინი, რომ მისი მონაცემები გამოიყენებული იქნება რესტორნების პოვნისთვის და არა იმისათვის, რომ მას გაუგზავნონ რეკლამები პიცის მიტანის სერვისის შესახებ იმიტომ, რომ აპლიკაციამ დაადგინა, რომ იგი სახლში გვიან მივიდა. ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი მონაცემების დამატებითი გამოყენება, შესაძლოა, შეუთავსებელი იყოს მიზანთან, რისთვისაც მოხდა მათი

⁷ წყარო: აშშ-ს სენატი, ვაჭრობის, მეცნიერების და ტრანსპორტის კომიტეტი. მონაცემთა ბროკერების ინდუსტრიის მიმოხილვა: მომხმარებლების შესახებ მონაცემების შეგროვება, გამოყენება და გაყიდვა მარკეტინგული მიზნებისთვის, სენატორი როკველერისთვის მომზადებული ანგარიში, 2013 წლის 18 დეკემბერი. https://www.commerce.senate.gov/public/_cache/files/0d2b3642-6221-4888-a631-08f2f255b577/AE5D72CBE7F44F5BFC846BECE22C875B.12.18.13-senate-commerce-committee-report-on-data-broker-industry.pdf. იხ. გვ. ii (რეზიუმე) და გვ. 12. ნანახია 2017 წლის 21 ივლისს.

შეგროვება თავდაპირველად, რის გამოც, შესაძლოა საჭიროებდეს შესაბამისი პირის თანხმობას.⁸

ის, თუ რამდენად თავსებადია დამატებითი დამუშავება მონაცემთა შეგროვების თავდაპირველ მიზანთან, დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე,⁹ მათ შორის იმაზე, თუ რა სახის ინფორმაცია მიაწოდა დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა მონაცემთა სუბიექტს. აღნიშნული ფაქტორები GDPR-ში¹⁰ არის წარმოდგენილი და მოკლედ განხილულია ქვემოთ:

- მონაცემთა შეგროვების მიზნის და შემდგომი დამუშავების მიზნის ურთიერთმიმართება;
- კონტექსტი, რომელშიც მოხდა მონაცემების შეგროვება და მონაცემთა სუბიექტის გონივრული მოლოდინები მონაცემთა შემდგომი გამოყენების შესახებ;
- მონაცემთა ხასიათი;
- შემდგომი დამუშავების გავლენა მონაცემთა სუბიექტებზე; და
- დაცვის მექანიზმები, რომელსაც დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი იყენებს სამართლიანი დამუშავების უზრუნველყოფისა და მონაცემთა სუბიექტზე არასათანადო ზეგავლენის პრევენციის მიზნით.

3. მუხლი 5(1)(c): მონაცემთა მინიმუზაცია

ბიზნეს შესაძლებლობები, რომლებსაც ქმნის პროფაილინგი, შენახვის დაბალი ფასი და დიდი მოცულობის ინფორმაციის დამუშავების შესაძლებლობა ორგანიზაციებს უბიძგებს უფრო მეტი პერსონალური მონაცემების შეგროვებისკენ, ვიდრე მათ რეალურად ესაჭიროებათ, რადგან ისინი ფიქრობენ, რომ სამომავლოდ შესაძლოა გამოადგეთ ეს მონაცემები. დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირებმა უნდა უზრუნველყონ მონაცემთა მინიმუზაციის პრინციპთან შესაბამისობა, ისევე, როგორც მიზნის შეზღუდვისა და შენახვის ვადის შეზღუდვის პრინციპებთან.

დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირებს უნდა შეეძლოთ, მკაფიოდ განმარტონ და დაასაბუთონ პერსონალური მონაცემების შეგროვების და შენახვის საჭიროება ან განიხილონ პროფაილინგისთვის განზოგადებული, ანონიმიზებული ან (თუ ეს საკმარის დაცვას უზრუნველყოფს) ფსევდონიმიზებული მონაცემების გამოყენება.

⁸ გაითვალისწინეთ, რომ შესაძლოა აღნიშნული დაქვემდებაროს ონლაინ სივრცეში პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ რეგულაციის დებულებებს.

⁹ ეს ფაქტორები ხაზგასმულია 29-ე მუხლის სამუშაო ჯგუფის დასკვნაში 03/2013 მიზნის შეზღუდვის შესახებ, 2013 წლის 2 აპრილი. http://ec.europa.eu/justice/data-protection/article-29/documentation/opinion-recommendation/files/2013/wp203_en.pdf. ნანახია 2017 წლის 24 აპრილს.

¹⁰ GDPR-ის 6(4) მუხლი.

4. მუხლი 5(1)(d): სიზუსტე

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირები ვალდებულები არიან, მონაცემთა სიზუსტის საკითხი გაითვალისწინონ პროფაილინგის პროცესის ყველა ეტაპზე, კერძოდ:

- მონაცემების შეგროვება;
- მონაცემების ანალიზი;
- ფიზიკური პირის პროფილის შექმნა; ან
- პროფილის გამოყენება გადაწყვეტილების მისაღებად, რომელიც გავლენას ახდენს ფიზიკურ პირზე.

თუ ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღების ან პროფაილინგის პროცესში გამოყენებული მონაცემების არ არის ზუსტი, შედეგად მიღებული გადაწყვეტილება ან პროფილი იქნება ხარვეზიანი. გადაწყვეტილებები შესაძლოა მიღებული იქნას მოძველებული მონაცემების ან გარე მონაცემების არასწორი ინტერპრეტაციის საფუძველზე. უზუსტობებმა, შესაძლოა, გამოიწვიოს შეუსაბამო პროგნოზები ან განცხადებები, მაგალითად, ადამიანის ჯანმრთელობის, საკრედიტო ან სადაზღვეო რისკის შესახებ.

მაშინაც კი, თუ პირვანდელი („ნედლი“) მონაცემების ჩაწერა მოხდება სიზუსტით, მონაცემთა წყება (dataset), შესაძლოა, არ იყოს სრულად რეპრეზენტაციული ან ანალიზი შესაძლოა შეიცავდეს ფარულ მიკერძოებას.

დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირებმა უნდა დანერგონ მყარი ზომები, რათა უწყვეტად გადაამოწმონ და უზრუნველყონ, რომ ხელახლა გამოყენებული ან ირიბად მოპოვებული მონაცემები არის ზუსტი და განახლებული. აღნიშნული განამტკიცებს დამუშავებული პერსონალური მონაცემების შესახებ მკაფიო ინფორმაციის უზრუნველყოფის მნიშვნელობას, რათა მონაცემთა სუბიექტმა შეძლოს უზუსტობების გასწორება და მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესება.

5. მუხლი 5(1)(e): შენახვის ვადის შეზღუდვა

მანქანური სწავლების ალგორითმები შექმნილია დიდი მოცულობის მქონე ინფორმაციის დასამუშავებლად და კორელაციების შესაქმნელად, რათა ორგანიზაციებს ჰქონდეს შესაძლებლობა, შექმნან ფიზიკური პირების უაღრესად ამომწურავი, ინტიმური პროფილები. პროფაილინგის შემთხვევაში, მონაცემთა შენახვას გარკვეული უპირატესობები აქვს, ვინაიდან ალგორითმი უფრო მეტი მონაცემების საფუძველზე ისწავლის. ამავდროულად, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირები ვალდებულები არიან, პერსონალური მონაცემების შეგროვების დროს დაიცვან მონაცემთა მინიმუზაციის პრინციპი და მონაცემები

შეინახონ მხოლოდ იმ ვადით, რაც აუცილებელი და პროპორციულია პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნებისთვის.

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მონაცემთა შენახვის პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს ფიზიკური პირების უფლებებს და თავისუფლებებს, 5(1)(e) მუხლის მოთხოვნების შესაბამისად.

დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა, აგრეთვე, უნდა უზრუნველყოს მონაცემთა განახლება შენახვის პერიოდში, უზუსტობების რისკის შესამცირებლად.¹¹

B. დამუშავების კანონიერი საფუძველი

ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღება, რომელიც განსაზღვრულია 22(1) მუხლში, დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოქმედებს IV თავში აღწერილი გამონაკლისები (C და D სექციები). დამუშავების კანონიერი საფუძველები, რომლებიც განხილულია ქვემოთ, შესაძლებელია გამოყენებული იქნას ყველა სხვა სახის ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღებისა და პროფაილინგის შემთხვევაში.

1. მუხლი 6(1)(a): თანხმობა

თანხმობა, როგორც დამუშავების საფუძველი, განხილულია WP29-ის სახელმძღვანელო პრინციპებში თანხმობის შესახებ.¹² მკაფიო თანხმობა ერთ-ერთი გამონაკლისია იმ წესიდან, რომელიც 22(1) მუხლში განსაზღვრული ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღების და პროფაილინგის აკრძალვას ითვალისწინებს.

პროფაილინგი, შესაძლოა, იყოს ბუნდოვანი. ხშირად, იგი ეყრდნობა სხვა მონაცემების საფუძველზე წარმოებულ ან ნავარაუდებ მონაცემებს, ნაცვლად მონაცემებისა, რომელსაც მონაცემთა სუბიექტი პირდაპირ აწვდის დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს.

დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირებმა, რომელთაც პროფაილინგის საფუძველად თანხმობის გამოყენება სურთ, უნდა დაადასტურონ, რომ მონაცემთა სუბიექტს ზუსტად ესმის, თუ რაზე გასცემს თანხმობას და უნდა გაითვალისწინონ,

¹¹ ნორვეგიის მონაცემთა დაცვის სააგენტო. დიდი მონაცემების რბოლა - რა საფრთხეებს უქმნის პერსონალური მონაცემების კომერციული გამოყენება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ანგარიში, 2015 წლის ნოემბერი. დეტალები იხ. <https://www.datatilsynet.no/English/Publications/The-Great-Data-Race/> ნანახია 2017 წლის 24 აპრილს, 29-ე მუხლის სამუშაო ჯგუფი. სახელმძღვანელო პრინციპები თანხმობის შესახებ, 2016/679 რეგულაციის მიხედვით, 2017 წლის 28 ნოემბერი, http://ec.europa.eu/newsroom/just/document.cfm?doc_id=48849. ნანახია 2017 წლის 18 დეკემბერს.

¹² 29-ე მუხლის სამუშაო ჯგუფი. სახელმძღვანელო პრინციპები თანხმობის შესახებ, 2016/679 რეგულაციის მიხედვით, WP259, 2017 წლის 28 ნოემბერი, http://ec.europa.eu/newsroom/just/document.cfm?doc_id=48849. ნანახია 2017 წლის 18 დეკემბერს.

რომ თანხმობა ყოველთვის არ წარმოადგენს დამუშავების სათანადო საფუძველს.¹³ ნებისმიერ შემთხვევაში, მონაცემთა სუბიექტს უნდა ჰქონდეს საკმარისი რელევანტური ინფორმაცია მონაცემთა გათვალისწინებული გამოყენების და დამუშავების შედეგების შესახებ, რათა მათ მიერ გაცემული თანხმობა წარმოადგენდეს ინფორმირებულ არჩევანს.

2. მუხლი 6(1)(b) - აუცილებელი ხელშეკრულების შესრულებისთვის

დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს შესაძლოა, სურდეს პროფაილინგის და ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღების პროცესების გამოყენება, რადგან ისინი:

- პოტენციურად აუმჯობესებს თანმიმდევრულობას ან სამართლიანობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში (მაგ., ამცირებს ადამიანური შეცდომის შანსს, დისკრიმინაციას ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას);
- ამცირებს მომხმარებლების მიერ მომსახურების ან პროდუქტის საფასურის გადაუხდელობის რისკებს (მაგ., მომხმარებლის კრედიტუნარიანობის შესახებ ინფორმაციის გამოყენების გზით); ან
- მათ საშუალებას აძლევს, მიიღონ გადაწყვეტილებები დროის მოკლე მონაკვეთში და გააუმჯობესონ ეფექტურობა.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, მხოლოდ ეს საკითხები არ არის საკმარისი იმის საჩვენებლად, რომ ამ ტიპის დამუშავება აუცილებელია 6(1)(b) მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულების შესრულებისთვის. როგორც ეს აღწერილია WP29-ის დასკვნაში ლეგიტიმური ინტერესის შესახებ,¹⁴ აუცილებლობა ვიწროდ უნდა იქნას განმარტებული.

ქვემოთ წარმოდგენილია პროფაილინგის მაგალითი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს 6(1)(b) მუხლის მოთხოვნებს.

მაგალითი

მომხმარებელი გარკვეულ ნივთებს ყიდულობს ონლაინ მოვაჭრისგან. ხელშეკრულების შესასრულებლად, მოვაჭრემ უნდა დაამუშაოს მომხმარებლის საკრედიტო ბარათის მონაცემები, საფასურის გადახდის მიზნებისთვის და მომხმარებლის მისამართი, პროდუქტის მიწოდებისთვის. ხელშეკრულების შესრულება არ არის დამოკიდებული მომხმარებლის გემოვნებისა და ცხოვრების სტილის შესახებ პროფილის შექმნაზე, მის მიერ ვებგვერდზე განხორციელებული

¹³ იქვე.

¹⁴ დასკვნა 06/2014 დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ლეგიტიმური ინტერესების ცნების შესახებ, 95/46/EC დირექტივის მე-7 მუხლის მიხედვით. ევროკომისია, 2014 წლის 9 აპრილი. http://ec.europa.eu/justice/data-protection/article-29/documentation/opinion-recommendation/files/2014/wp217_en.pdf. ნანახია 2017 წლის 24 აპრილს.

ვიზიტების მიხედვით. მაშინაც კი, თუ პროფაილინგზე კონკრეტულად მიუთითებს ხელშეკრულების ის ნაწილი, რომელიც წვრილი შრიფტით არის შედგენილი, მხოლოდ აღნიშნული ფაქტი არ ნიშნავს, რომ პროფაილინგი „აუცილებელია“ ხელშეკრულების შესრულებისთვის.

3. მუხლი 6(1)(c) - აუცილებელი სამართლებრივი ვალდებულების შესასრულებლად

ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა მოქმედებდეს პროფაილინგის განხორციელების სამართლებრივი ვალდებულება¹⁵ - მაგალითად, თაღლითობის პრევენციასთან ან ფულის გათეთრებასთან დაკავშირებით. ლეგიტიმური ინტერესების შესახებ WP29-ის დასკვნა¹⁶ შეიცავს სასარგებლო ინფორმაციას დამუშავების აღნიშნული საფუძვლის შესახებ, მათ შორის, გამოსაყენებელი გარანტიების თაობაზე.

4. მუხლი 6(1)(d) - აუცილებელი სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად

აღნიშნული მოიცავს სიტუაციებს, როდესაც დამუშავება აუცილებელია იმ ინტერესის დასაცავად, რომელიც მნიშვნელოვანია მონაცემთა სუბიექტის ან სხვა ფიზიკური პირის სიცოცხლისთვის.

გარკვეული ტიპის დამუშავება, შესაძლოა, მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ინტერესს ემსახურებოდეს, ან მონაცემთა სუბიექტის სასიცოცხლო ინტერესს. აღნიშნულის მაგალითებია: პროფაილინგი, რომელიც აუცილებელია იმ მოდელების შესაქმნელად, რომელიც პროგნოზირებს სასიკვდილო დაავადებებს ან საგანგებო ჰუმანიტარულ სიტუაციებს. ამავდროულად, ასეთ შემთხვევებში, არსებითად, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს შეუძლია სასიცოცხლო ინტერესის საფუძველს დაეყრდნოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არის ხელმისაწვდომი დამუშავების სხვა სამართლებრივი საფუძველი.¹⁷ თუ დამუშავება ეხება განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა, აგრეთვე, უნდა უზრუნველყოს 9(2)(c) მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

¹⁵ GDPR-ის პრეამბულის 41-ე და 45-ე პუნქტები.

¹⁶ დასკვნა 06/2014 დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ლეგიტიმური ინტერესების ცნების შესახებ, 95/46/EC დირექტივის მე-7 მუხლის მიხედვით. გვ.19. ევროკომისია, 2014 წლის 9 აპრილი. http://ec.europa.eu/justice/data-protection/article-29/documentation/opinion-recommendation/files/2014/wp217_en.pdf. ნანახია 2017 წლის 24 აპრილს.

¹⁷ GDPR-ის პრეამბულის 46-ე პუნქტი.

5. მუხლი 6(1)(e) - აუცილებელია საჯარო ინტერესის სფეროში შემავალი ამოცანების შესასრულებლად ან ოფიციალური უფლებამოსილების განსახორციელებლად

6(1)(e) მუხლის გამოყენება შესაძლებელია საჯარო სექტორში პროფაილინგის შემთხვევებში, გარკვეული გარემოებების არსებობისას. შესაბამის ფუნქციას/მოვალეობას უნდა ჰქონდეს მკაფიო საფუძველი საკანონმდებლო დონეზე.

6. მუხლი 6(1)(f) - აუცილებელია დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან მესამე მხარის კანონიერი ინტერესების დასაცავად¹⁸

პროფაილინგი დასაშვებია, თუ იგი აუცილებელია დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან მესამე მხარის კანონიერი ინტერესების¹⁹ დასაცავად. ამავდროულად, 6(1)(f) მუხლი ავტომატურად არ მოქმედებს მხოლოდ იმიტომ, რომ დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს ან მესამე მხარეს ლეგიტიმური ინტერესი აქვს. დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა განახორციელოს დაბალანსების ტესტი, რათა შეაფასოს, აღემატება თუ არა მონაცემთა სუბიექტის ინტერესებს ან ფუნდამენტურ უფლებებს და თავისუფლებებს.

ქვემოთ წარმოდგენილი ასპექტები განსაკუთრებით რელევანტურია:

- რამდენად დეტალურია პროფილი (მონაცემთა სუბიექტი პროფილირებულია ფართო კოპორტის - მაგ., 'ადამიანები, რომელთაც აქვთ ინტერესი ინგლისური ლიტერატურის მიმართ' - ფარგლებში თუ ვიწრო სეგმენტის/კატეგორიის ფარგლებში);
- რამდენად ამომწურავია პროფილი (პროფილი მონაცემთა სუბიექტის მხოლოდ მცირე ასპექტს აღწერს, თუ უფრო კომპლექსურ სურათს ხატავს);
- პროფაილინგის ზეგავლენა (რა გავლენა აქვს მას მონაცემთა სუბიექტზე); და
- გარანტიები, რომელიც უზრუნველყოფს სამართლიანობას, დისკრიმინაციის აკრძალვას და სიზუსტეს პროფაილინგის პროცესში.

მართალია, WP29-ის დასკვნა ლეგიტიმური ინტერესების შესახებ²⁰ ეფუძნება მონაცემთა დაცვის 95/46/EC დირექტივის (შემდგომში, „დირექტივა“) მე-7 მუხლს, თუმცა, იგი შეიცავს მაგალითებს, რომლებიც სასარგებლო და რელევანტურია პროფაილინგის განმახორციელებელი დამუშავებისთვის პასუხისმგებელი

¹⁸ GDPR-ის პრეამბულის 47-ე პუნქტში ჩამოთვლილი ლეგიტიმური ინტერესებია: დამუშავება პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის და დამუშავება, რომელიც მკაცრად არის აუცილებელი თაღლითობის პრევენციისთვის.

¹⁹ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის „ლეგიტიმური ინტერესი“ ვერ გახდის პროფაილინგს კანონიერს, თუ დამუშავება ხვდება 22(1) მუხლის განმარტების ფარგლებში.

²⁰ დასკვნა 06/2014 დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ლეგიტიმური ინტერესების ცნების შესახებ, 95/46/EC დირექტივის მე-7 მუხლის მიხედვით. მაგალითები წარმოდგენილია 59-ე და მე-60 გვერდებზე. ევროკომისია, 2014 წლის 9 აპრილი. http://ec.europa.eu/justice/data-protection/article-29/documentation/opinion-recommendation/files/2014/wp217_en.pdf. ნანახია 2017 წლის 24 აპრილს.

პირებისთვის. დასკვნის თანახმად, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის რთული იქნება კანონიერი ინტერესის დასაბუთება მონაცემთა სუბიექტის უფლებების შემზღვევადი (ინვაზიური) პროფაილინგის დროს და მარკეტინგული ან სარეკლამო მიზნებისთვის პრაქტიკების მონიტორინგის შემთხვევაში, მაგ., როდესაც საქმე ეხება რამდენიმე ვებგვერდზე, ადგილმდებარეობაზე, მოწყობილობებზე და სერვისებთან მიმართებით ფიზიკური პირების მონიტორინგს ან მონაცემებით ვაჭრობას.

6(1)(f) მუხლის თანახმად დამუშავების ლეგიტიმურობის შეფასებისას, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა გაითვალისწინოს პროფილების მომავალში გამოყენების საკითხი ან მათი გაერთიანების შესაძლებლობა.

C. მუხლი 9 - განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები

დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი აკმაყოფილებს 9(2) მუხლში დადგენილ ერთ-ერთ პირობას და აგრეთვე, მე-6 მუხლში დადგენილ პირობას. აღნიშნული მოიცავს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს, რომლებიც წარმოებულია ან ნავარაუდევია პროფაილინგის საფუძველზე.

პროფაილინგის შედეგად, შესაძლებელია შეიქმნას განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები, იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რომელიც ცალკე აღებული არ წარმოადგენს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს, მაგრამ სხვა მონაცემებთან გაერთიანების შედეგად იქცევა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებად. მაგალითად, შესაძლებელია ფიზიკური პირის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე გარკვეული დასკვნების გაკეთება იმის მიხედვით, თუ რა სახის საკვებს ყიდულობს (საკვების ხარისხი და ენერგეტიკული ღირებულება).

კორელაციების (ურთიერთმიმართებების) დადგენის საფუძველზე შესაძლებელია ფიზიკური პირის ჯანმრთელობის, პოლიტიკური შეხედულებების, რელიგიური რწმენის ან სექსუალური ორიენტაციის შესახებ დასკვნების გაკეთება. გაეცანით ქვემოთ წარმოდგენილ მაგალითს:

| |
|---|
| მაგალითი |
| ერთ-ერთი კვლევის თანახმად ²¹ , Facebook „მოწონებების“ და ლიმიტირებული გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, მკვლევრებმა 88% სიზუსტით დაადგინეს მამაკაცი მომხმარებლების სექსუალური ორიენტაცია; 95% სიზუსტით - |

²¹ Michael Kosinski, David Stilwell and Thore Graepel. *Private traits and attributes are predictable from digital records of human behaviour. Proceedings of the National Academy of Sciences of the United States of America*, <http://www.pnas.org/content/110/15/5802.full.pdf>. ნანახია 2017 წლის 29 მარტს.

მომხმარებლის ეთნიკური წარმომავლობა; ხოლო 82% სიზუსტით განსაზღვრეს, მომხმარებელი ქრისტიანი იყო თუ მუსლიმი.

იმ შემთხვევაში, თუ პროვაილერის საფუძველზე შესაძლებელია დასკვნების გაკეთება ადამიანის მახასიათებლებისა და პრეფერენციების შესახებ, რაც სენსიტიურ ინფორმაციას შეიცავს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია:

- უზრუნველყოს დამუშავების თავსებადობა თავდაპირველ მიზანთან;
- მოახდინოს კანონიერი საფუძვლის იდენტიფიცირება განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დასამუშავებლად; და
- მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს ინფორმაცია დამუშავების შესახებ.

ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღება, რომელიც 22(1) მუხლშია განსაზღვრული და ეფუძნება განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს, წინამდებარე დოკუმენტის IV თავშია განხილული (სექცია D).

D. მონაცემთა სუბიექტის უფლებები²²

GDPR-ი მონაცემთა სუბიექტებს უფრო ძლიერ უფლებებს ანიჭებს და კმნის ახალ ვალდებულებებს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირების შემთხვევაში.

პროვაილერის კონტექსტში, მონაცემთა სუბიექტს უფლებების განხორციელება შეუძლია როგორც დამუშავებაზე პასუხისმგებელი იმ პირის მიმართ, რომელმაც შექმნა პროფილი, ისე გადაწყვეტილების ავტომატიზებული გზით მიმღები (ადამიანური ინტერვენციით ან მის გარეშე) დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირის მიმართ, თუ ეს ორი ერთმანეთისგან განსხვავდება.

მაგალითი

მონაცემთა ბროკერი ახორციელებს პერსონალური მონაცემების პროვაილერს. მე-13 და მე-14 მუხლებით დადგენილი ვალდებულებების შესაბამისად, მონაცემთა ბროკერმა ფიზიკურ პირს უნდა შეატყობინოს დამუშავების შესახებ, მათ შორის, იმის შესახებ, აპირებს თუ არა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი პროფილის სხვა ორგანიზაციებისთვის გაზიარებას. მონაცემთა ბროკერმა, აგრეთვე, მონაცემთა სუბიექტს ცალკე უნდა წარუდგინოს დეტალური მონაცემები დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნის უფლების შესახებ, 21(1) მუხლის შესაბამისად.

²² ეს სექცია რელევანტურია როგორც პროვაილერის, ისე ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში. ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით (მუხლი 22), გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მოქმედებს დამატებითი მოთხოვნები, რომლებიც აღწერილია IV თავში.

მონაცემთა ბროკერი პროფილს გადასცემს სხვა კომპანიას, რომელიც პროფილს იყენებს პირდაპირი მარკეტინგის განხორციელებისთვის.

კომპანიამ ფიზიკურ პირს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია (მუხლი 14(1)(c)) ამ პროფილის გამოყენების მიზნების შესახებ და იმის შესახებ, თუ რომელი წყაროდან იქნა ინფორმაცია მოპოვებული (მუხლი 14(2)(f)). კომპანია ვალდებულია, მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს ინფორმაცია დამუშავების (მათ შორის, პროფაილინგის) შეწყვეტის მოთხოვნის უფლების შესახებ, როდესაც აღნიშნული ხორციელდება პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის (მუხლი 21(2)).

მონაცემთა ბროკერმა და კომპანიამ მონაცემთა სუბიექტს უნდა მისცენ საშუალება, განახორციელოს ინფორმაციაზე წვდომის უფლება (მუხლი 15), რათა შეასწოროს მცდარი/არასწორი ინფორმაცია (მუხლი 16) და გარკვეულ გარემოებებში, წაშალოს საკუთარი პროფილი ან პერსონალური მონაცემები, რომელიც პროფილის შესაქმნელად იყო გამოყენებული (მუხლი 17). მონაცემთა სუბიექტს, აგრეთვე, უნდა მიეწოდოს ინფორმაცია საკუთარი პროფილის შესახებ, მაგალითად, რომელ „სეგმენტებში“ ან „კატეგორიებშია“ მისი პროფილი მოთავსებული.²³

თუ კომპანია პროფილის იყენებს გადაწყვეტილების მხოლოდ ავტომატიზებული გზით მიღებისთვის, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან სხვა მნიშვნელოვან შედეგებს მონაცემთა სუბიექტისთვის, კომპანია წარმოადგენს დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს, რომელიც ექვემდებარება 22-ე მუხლის დებულებებს. (აღნიშნული არ გამორიცხავს 22-ე მუხლის მოქმედებას მონაცემთა ბროკერის მიმართ, თუ დამუშავება შესაბამის ზღვარს აღწევს).

1. მე-13 და მე-14 მუხლები - ინფორმაციის მიღების უფლება

გამჭვირვალობის იმ უმთავრესი პრინციპის გათვალისწინებით, რომელიც საფუძვლად უდევს GDPR-ს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან, მონაცემთა სუბიექტებს მკაფიოდ და მარტივად განუმარტონ, თუ როგორ მუშაობს პროფაილინგის და ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღების პროცესი.

კერძოდ, როდესაც დამუშავება გულისხმობს პროფაილინგზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღებას (მიუხედავად იმისა, აღნიშნული ხვდება თუ არა 22-ე მუხლის მოქმედების სფეროში), ის ფაქტი, რომ დამუშავება ემსახურება როგორც (ა)

²³ ნორვეგიის მონაცემთა დაცვის სააგენტო. მონაცემთა დიდი რბოლა - რა საფრთხეებს უქმნის პერსონალური მონაცემების კომერციული გამოყენება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ანგარიში, 2015 წლის ნოემბერი. დეტალები იხ. <https://www.datatilsynet.no/English/Publications/The-Great-Data-Race/> ნანახია 2017 წლის 24 აპრილს.

პროფაილინგის, ისე (ბ) შექმნილი პროფილის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღების მიზანს, მკაფიოდ უნდა განემარტოს მონაცემთა სუბიექტს.²⁴

პრეამბულის მე-60 პუნქტის თანახმად, პროფაილინგის შესახებ ინფორმაციის მიწოდება წარმოადგენს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის გამჭვირვალობის ვალდებულების შემადგენელ ნაწილს, 5(1)(a) მუხლის შესაბამისად. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მიიღოს ინფორმაცია დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისგან 'პროფაილინგის' შეწყვეტის მოთხოვნის უფლებაზე, მიუხედავად იმისა, ადგილი აქვს თუ არა პროფაილინგის საფუძველზე გადაწყვეტილების მხოლოდ ავტომატიზებული გზით მიღებას.

ზოგადად, გამჭვირვალობის შესახებ დამატებითი ინსტრუქციები ხელმისაწვდომია WP29-ის სახელმძღვანელო პრინციპებში გამჭვირვალობის შესახებ, GDPR-ის თანახმად.²⁵

2. მუხლი 15 - წვდომის უფლება

მე-15 მუხლის თანახმად, მონაცემთა სუბიექტს აქვს უფლება, მოიპოვოს იმ ნებისმიერი პერსონალური მონაცემების დეტალები, რომლებიც გამოყენებული იქნა პროფაილინგისთვის, მათ შორის, მონაცემთა კატეგორიები, რომლებიც პროფილის შესადგენად იქნა გამოყენებული.

დამუშავების შესახებ ზოგადი ინფორმაციის გარდა, 15(3) მუხლის შესაბამისად, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, ხელმისაწვდომი გახადოს მონაცემები, რომლებიც გამოყენებული იქნა პროფილის შესაქმნელად და აგრეთვე, წვდომა პროფილის შესახებ ინფორმაციაზე და დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელ სეგმენტებში განთავსდა მონაცემთა სუბიექტი.

აღნიშნული განსხვავდება მონაცემთა პორტირების უფლებისგან (მუხლი 20), რომლის მიხედვითაც დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირი ვალდებულია, უზრუნველყოს მხოლოდ იმ მონაცემებზე წვდომა, რომელიც მიაწოდა თავად მონაცემთა სუბიექტმა ან მოიპოვა დაკვირვების შედეგად, და არა თავად პროფილზე წვდომა.²⁶

²⁴ GDPR-ის 13(1)(c) და 14(1)(c) მუხლები. 13(2)(f) და 14(2)(g) მუხლების თანახმად, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა მონაცემთა სუბიექტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღების, მათ შორის, პროფაილინგის არსებობის შესახებ, რომელიც აღწერილია 22-ე მუხლის (1) და (4) პუნქტებში. აღნიშნული უფრო დეტალურადაა განმარტებული IV თავში.

²⁵ WP29-ის სახელმძღვანელო პრინციპები გამჭვირვალობის შესახებ გამჭვირვალობას განიხილავს უფრო დეტალურად, 29-ე მუხლის სამუშაო ჯგუფი. სახელმძღვანელო პრინციპები გამჭვირვალობის შესახებ, 2016/679 რეგულაციის მიხედვით, WP260, 2017 წლის 28 ნოემბერი, http://ec.europa.eu/newsroom/just/document.cfm?doc_id=48850, ნანახია 2017 წლის 18 დეკემბერს.

²⁶ WP29-ის სახელმძღვანელო პრინციპები მონაცემთა პორტირების შესახებ, გვ.9, WP242. http://ec.europa.eu/newsroom/document.cfm?doc_id=45685. ნანახია 2018 წლის 8 იანვარს.

პრემიუმის 63-ე პუნქტი გარკვეულწილად იცავს დამუშავებაზე პასუხისმგებელ პირებს, რომელთაც სურთ დაიცვან სავაჭრო საიდუმლოებები ან ინტელექტუალური საკუთრება, რაც განსაკუთრებით რელევანტურია პროფაილინგთან მიმართებით. ამ პუნქტის თანახმად, წვდომის უფლებით „არ უნდა შეიღახოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები, მათ შორის, სავაჭრო საიდუმლოებები ან ინტელექტუალური საკუთრება, კერძოდ, პროგრამული უზრუნველყოფის დამცავი ინტელექტუალური საკუთრების უფლება.“ ამავდროულად, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვერ დაეყრდნობა საკუთარი სავაჭრო საიდუმლოების დაცვას, როგორც წვდომის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ან მონაცემთა სუბიექტისათვის ინფორმაციის მიწოდებაზე უარის თქმის მიზეზს.

3. მუხლი 16 - მონაცემთა გასწორების უფლება, მუხლი 17 - მონაცემთა წაშლის უფლება და მუხლი 18 - მონაცემთა დაბლოკვის უფლება

პროფაილინგი შესაძლოა მოიცავდეს პროგნოზირების ელემენტს, რაც ზრდის უზუსტობის რისკებს. პროფილის შესაქმნელად გამოყენებული მონაცემები, შესაძლოა, იყოს არაზუსტი ან არარელევანტური, ან კონტექსტიდან ამოღებული. შესაძლოა, ხარვეზი ჰქონდეს ალგორითმს, რომელიც კორელაციების იდენტიფიცირებისთვის გამოიყენება.

მე-16 მუხლით გათვალისწინებული მონაცემთა გასწორების უფლება, შესაძლოა, მოქმედებდეს როდესაც, მაგალითად, ფიზიკური პირი მოთავსებულია კატეგორიაში, რომელიც აღნიშნავს გარკვეული ფუნქციის შესრულების შესაძლებლობას, ხოლო პროფილი ეფუძნება არასწორ ინფორმაციას. ფიზიკურმა პირმა შესაძლოა, მოისურვოს გამოყენებულ მონაცემებში არსებული უზუსტობის გასწორება და მის მიმართ გამოყენებული კატეგორიის/ჯგუფის შეცვლა.

მონაცემთა გასწორების და წაშლის უფლება²⁷ მოქმედებს როგორც პროფილის შესაქმნელად გამოყენებული მონაცემების ('პირველადი მონაცემები'), ისე შედეგების ამსახველი მონაცემების მიმართ (თავად პროფილი ან პირისათვის მინიჭებული 'ქულა').

მე-16 მუხლი, აგრეთვე, ითვალისწინებს მონაცემთა სუბიექტის უფლებას, პერსონალური მონაცემები დამატებითი ინფორმაციით შეავსოს.

მაგალითი

ადგილობრივ სამედიცინო დაწესებულებაში არსებულმა კომპიუტერულმა სისტემას პირი მიაკუთვნა გულის დაავადების მაღალი რისკის მატარებელი ადამიანების კატეგორიას. ვერ ვიტყვით, რომ ამგვარი 'პროფილი' არასწორია,

²⁷ GDPR - მუხლი 17, GDPR - მუხლი 18(1)(d)

მაშინაც კი, თუ ამ ადამიანს გულის დაავადება არასოდეს დაემართება. პროფილი უბრალოდ უთითებს, რომ *მაღალია რისკი*, რომ მას ეს დაავადება დაემართოს, რაც სტატისტიკურ ჭრილში, შეიძლება სწორი იყოს.

მიუხედავად ამისა, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, დამუშავების მიზნის გათვალისწინებით, წარმოადგინოს დამატებითი ინფორმაცია. ზემოაღნიშნულ სცენარში, ეს შესაძლოა გულისხმობდეს უფრო მოწინავე სამედიცინო კომპიუტერული სისტემის (და სტატისტიკური მოდელის) შედეგებს, რომელიც ითვალისწინებს დამატებით მონაცემებს და ახორციელებს უფრო დეტალურ გამოკვლევას, ვიდრე ადგილობრივი სამედიცინო დაწესებულების კომპიუტერული სისტემა, რომელსაც შედარებით შეზღუდული ფუნქციები აქვს.

მონაცემთა დაბლოკვის უფლება (მუხლი 18) მოქმედებს პროფაილინგის პროცესის ნებისმიერ ეტაპზე.

4. მუხლი 21 - მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნის უფლება

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, მონაცემთა სუბიექტს დეტალურად და მკაფიოდ განუმარტოს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნის უფლება, 21-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად და აღნიშნული ინფორმაცია წარმოადგინოს პირდაპირ/ცალსახად და სხვა ინფორმაციისგან განცალკევებულად (მუხლი 21(4)).

21(1) მუხლის თანახმად, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების (პროფაილინგის ჩათვლით) შეწყვეტა, საკუთარი ინდივიდუალური გარემოებებიდან გამომდინარე. დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მოეთხოვება, ეს უფლება უზრუნველყოს ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც დამუშავება ეფუძნება 6(1)(e) ან (f) პუნქტებს.

მას შემდეგ, რაც მონაცემთა სუბიექტი განახორციელებს ამ უფლებას, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა შეწყვიტოს²⁸ (ან არ დაიწყოს) პროფაილინგის პროცესი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მას შეუძლია წარმოადგინოს დამაჯერებელი ლეგიტიმური საფუძველი, რომელიც გადაწონის მონაცემთა სუბიექტის ინტერესებს, უფლებებს და თავისუფლებებს. დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს, შესაძლოა, აგრეთვე მოუწიოს შესაბამისი პერსონალური მონაცემების წაშლა.²⁹

²⁸ GDPR - მუხლი 18(1)(d)

²⁹ GDPR - მუხლი 17(1)(c)

GDPR-ი არ შეიცავს განმარტებას იმასთან დაკავშირებით, თუ რა წარმოადგენს დამაჯერებელ ლეგიტიმურ საფუძველს.³⁰ შესაძლებელია რომ, მაგალითად, პროფაილინგს სარგებელი მოჰქონდეს ფართო საზოგადოებისთვის (ან თემისთვის) და არ შედიოდეს მხოლოდ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ინტერესებში. მაგალითად, პროფაილინგი რომლის მიზანია გადამდები დაავადების გავრცელების პროგნოზირება.

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია:

- გაითვალისწინოს პროფაილინგის მნიშვნელობა მის კონკრეტულ მიზანთან მიმართებით;
- გაითვალისწინოს პროფაილინგის გავლენა მონაცემთა სუბიექტის ინტერესებზე, უფლებებზე და თავისუფლებებზე - პროფაილინგი უნდა შემოიფარგლებოდეს იმ მინიმუმით, რაც აუცილებელია მიზნის მისაღწევად; და
- განახორციელოს დაბალანსების ტესტი.

ყოველთვის უნდა დაბალანსდეს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისა და მონაცემთა სუბიექტის შეპირისპირებული ინტერესები (გასათვალისწინებელია, რომ მონაცემთა სუბიექტი დამუშავებას შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს პირადი, სოციალური ან პროფესიული მიზეზების გამო). 95/46/EC დირექტივისგან განსხვავებით, მტკიცების ტვირთი დამაჯერებელი ლეგიტიმური საფუძველის დადასტურების კუთხით ეკისრება დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს და არა მონაცემთა სუბიექტს.

21-ე მუხლის ფორმულირებიდან გამომდინარე ნათელია, რომ დაბალანსების ტესტი განსხვავდება ტესტისგან, რომელზეც 6(1)(f) მუხლი მიუთითებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არ არის საკმარისი დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ მხოლოდ დემონსტრირება იმისა, რომ მის მიერ მანამდე ჩატარებული ლეგიტიმური ინტერესის ანალიზი იყო სწორი. დაბალანსების აღნიშნული ტესტი მოითხოვს, რომ ინტერესი იყოს *დამაჯერებელი*, რაც ნიშნავს იმას, რომ ინტერესმა უნდა გადალახოს უფრო მაღალი ზღვარი იმისათვის, რომ დამტკიცებული იქნას დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნა.

21(1) მუხლი მონაცემთა სუბიექტს ანიჭებს უპირობო უფლებას, მოითხოვოს დამუშავების შეწყვეტა, როდესაც დამუშავება პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის ხორციელდება. ეს ეხება პროფაილინგსაც, იმ პირობით, თუ პროფაილინგი

³⁰ იხ. განმარტება ლეგიტიმურობის შესახებ. დასკვნა 06/2014 დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ლეგიტიმური ინტერესების ცნების შესახებ, 95/46/EC დირექტივის მე-7 მუხლის მიხედვით. ევროკომისია, 2014 წლის 9 აპრილი. http://ec.europa.eu/justice/data-protection/article-29/documentation/opinion-recommendation/files/2014/wp217_en.pdf. ნანახია 2017 წლის 24 აპრილს.

დაკავშირებულია პირდაპირ მარკეტინგთან.³¹ ეს ნიშნავს, რომ არ არის საჭირო ინტერესთა დაბალანსება; დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა პატივი უნდა სცეს ფიზიკური პირის სურვილს ისე, რომ ეჭვქვეშ არ დააყენოს დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნის მოტივები. პრეამბულის 70-ე პუნქტი ითვალისწინებს დამატებით კონტექსტს ამ უფლებასთან დაკავშირებით და ადგენს, რომ მისი განხორციელება შესაძლებელია ნებისმიერ დროს და უფასოდ.

IV. სპეციფიკური დებულებები, რომლებიც ეხება მხოლოდ ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღებას, რომელიც განსაზღვრულია 22-ე მუხლში

22(1) მუხლის თანახმად:

მონაცემთა სუბიექტს აქვს უფლება, არ დაექვემდებაროს მხოლოდ ავტომატიზებულად, მათ შორის პროფაილინგის საფუძველზე მის შესახებ ისეთი გადაწყვეტილების მიღებას, რომელიც მისთვის წარმოშობს სამართლებრივ ან მსგავსი არსებითი მნიშვნელობის მქონე სხვა შედეგებს.

ტერმინი „უფლება“ ამ დებულებაში არ ნიშნავს, რომ 22(1) მუხლი მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როდესაც მას აქტიურად იყენებს მონაცემთა სუბიექტი. 22(1) მუხლი ადგენს მხოლოდ ავტომატიზებულად გადაწყვეტილების მიღების ზოგად აკრძალვას. ეს აკრძალვა მოქმედებს იმის მიუხედავად, განახორციელა თუ არა მონაცემთა სუბიექტმა რაიმე ქმედება საკუთარი პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით.

მოკლედ რომ შევაჯამოთ, 22-ე მუხლის თანახმად:

(i) როგორც წესი, მოქმედებს სრულად ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღების ზოგადი აკრძალვა, პროფაილინგის ჩათვლით, როდესაც აღნიშნული წარმოშობს სამართლებრივ ან მსგავსი არსებითი მნიშვნელობის მქონე სხვა შედეგებს;

³¹ 12(2) მუხლის შესაბამისად, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირები, რომლებიც ფიზიკური პირებისგან აგროვებენ პერსონალურ მონაცემებს მათი პირდაპირი მარკეტინგის მიზნით გამოყენებისთვის, შეგროვების მომენტში ვალდებული არიან, მონაცემთა სუბიექტს შესთავაზონ მარტივი გზა დააფიქსიროს, რომ მას არ სურს, საკუთარი პერსონალური მონაცემები გამოყენებული იქნას პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის, ნაცვლად იმისა, რომ დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა მონაცემთა სუბიექტს მოსთხოვოს დამუშავების შეწყვეტის უფლების განხორციელება მოგვიანებით.

(ii) ამ წესთან დაკავშირებით, მოქმედებს გარკვეული გამონაკლისები;

(iii) თუ სახეზეა სამი გამონაკლისიდან ერთ-ერთი, უნდა მოქმედებდეს გარკვეული ზომები, მონაცემთა სუბიექტის უფლებების და თავისუფლებების და ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად.³²

აღნიშნული ინტერპრეტაცია განამტკიცებს იდეას, რომ მონაცემთა სუბიექტი უნდა აკონტროლებდეს საკუთარ პერსონალურ მონაცემებს, რაც GDPR-ის ფუნდამენტურ პრინციპებთან შესაბამისობაშია. 22-ე მუხლის განმარტება აკრძალვის და არა განხორციელებადი უფლების სახით ნიშნავს იმას, რომ ფიზიკური პირები იქნებიან ავტომატურად დაცულები ამ ტიპის დამუშავების პოტენციური ზეგავლენისგან. აღნიშნული მუხლის ფორმულირება ირიბად მიუთითებს, რომ სწორედ ეს არის განზრახვა და ამას ამყარებს პრეამბულის 71-ე მუხლი, რომლის თანახმადაც:

თუმცა ამგვარ დამუშავებაზე, მათ შორის პროფაილინგიზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკა დასაშვებია, თუ ცალსახად ნებადართულია ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონით, ... ან აუცილებელია ხელშეკრულების გაფორმების ან შესრულებისთვის , ან როდესაც მონაცემთა სუბიექტმა გასცა მკაფიო თანხმობა.

ეს ნიშნავს, რომ 22(1) მუხლით გათვალისწინებული დამუშავება, ზოგადად, არ არის ნებადართული.³³

ამავდროულად, 22(1) მუხლით გათვალისწინებული აკრძალვა *მოქმედებს* მხოლოდ სპეციფიკურ გარემოებებში, როდესაც მხოლოდ ავტომატიზებული დამუშავების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება, მათ შორის, პროფაილინგი, წარმოშობს სამართლებრივ ან მსგავსი არსებითი მნიშვნელობის მქონე სხვა შედეგებს. როგორც ეს წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპებში არის განმარტებული. ასეთ შემთხვევებშიც კი, განსაზღვრულია გამონაკლისები, რომლებიც ამგვარი დამუშავების შესაძლებლობას იძლევა.

საჭირო გარანტიები, რომლებიც უფრო დეტალურადაა განხილული ქვემოთ, მოიცავს ინფორმაციის მიღების უფლებას (მე-13 და მე-14 მუხლები - კერძოდ, მნიშვნელოვანი/არსებითი ინფორმაცია გამოყენებული ლოგიკის/კრიტერიუმების, საჭიროების და მონაცემთა სუბიექტისთვის შესაძლო შედეგების შესახებ), გარანტიებს,

³² პრეამბულის 71-ე პუნქტის თანახმად, „ამგვარ დამუშავებაზე უნდა ვრცელდებოდეს სათანადო გარანტიები, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს მონაცემთა სუბიექტისათვის კონკრეტული ინფორმაციის მიწოდებას და სუბიექტის უფლებას მოითხოვოს ადამიანური რესურსის ჩართვა, ასევე აზრის გამოხატვისა და ამგვარ შეფასებაზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებაზე განმარტების მიღების და გასაჩივრების უფლებებს.“

³³ დამატებითი კომენტარები 22-ე მუხლის, როგორც აკრძალვის ინტერპრეტაციის შესახებ ხელმისაწვდომია დანართში N2.

როგორცაა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადამიანური რესურსის ჩართვის მოთხოვნის უფლება და გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება (მუხლი 22(3)).

ნებისმიერი დამუშავება, რომელიც სავარაუდოდ მაღალ რისკს შეუქმნის მონაცემთა სუბიექტს, საჭიროებს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ მონაცემთა დაცვაზე ზემოქმედების შეფასების (Data Protection Impact Assessment – DPIA) განხორციელებას.³⁴ DPIA რეაგირებას ახდენს დამუშავებასთან დაკავშირებულ რისკებზე და განსაკუთრებული სარგებლობა მოაქვს იმ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირებისთვის, რომლებიც არ არიან დარწმუნებულები, თუ რამდენად ხვდება მათ მიერ დაგეგმილი აქტივობები 22(1) მუხლში წარმოდგენილ განმარტების ქვეშ და თუ ამგვარი აქტივობა დასაშვებია გამონაკლისის სახით, რა გარანტიები უნდა იქნას გამოყენებული.

A. მხოლოდ ავტომატიზებული დამუშავების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება

22(1) მუხლი მიუთითებს „მხოლოდ ავტომატიზებული დამუშავების“ საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე. ეს ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების პროცესში ადამიანური რესურსი საერთოდ არ მონაწილეობს.

მაგალითი

ავტომატიზებული პროცესის შედეგად მუშავდება რეკომენდაცია მონაცემთა სუბიექტის შესახებ. თუ ადამიანი გადახედავს არსებულ მონაცემებს და გაითვალისწინებს სხვა ფაქტორებს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მაშინ ეს გადაწყვეტილება არ იქნება „მხოლოდ ავტომატიზებული დამუშავების“ საფუძველზე მიღებული.

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი თავს ვერ აარიდებს 22-ე მუხლის დებულებებს ადამიანური რესურსის მონაწილეობის გაყალბების გზით. მაგალითად, თუ ადამიანი რუტინულად იყენებს ავტომატურად გენერირებულ პროფილებს მონაცემთა სუბიექტების მიმართ, ისე, რომ მას არ აქვს რაიმე რეალური გავლენა შედეგზე, აღნიშნული განიხილება, როგორც მხოლოდ ავტომატიზებული დამუშავების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება.

იმისათვის, რომ ადამიანური რესურსის ჩართულობა დადასტურდეს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა უზრუნველყოს, რომ ადამიანის

³⁴ 29-ე მუხლის სამუშაო ჯგუფი. სახელმძღვანელო პრინციპები მონაცემთა დაცვაზე ზემოქმედების შეფასების შესახებ და იმის განსაზღვრის შესახებ, თუ რამდენად წარმოშობს დამუშავება მაღალ რისკს, 2016/679 რეგულაციის მიზნებისთვის. 2017 წლის 4 აპრილი. ევროკომისია. http://ec.europa.eu/newsroom/document.cfm?doc_id=44137. ნანახია 2017 წლის 24 აპრილს.

მიერ გადაწყვეტილების ზედამხედველობა არის ეფექტური და არა უბრალოდ ფორმალური. ზედამხედველობა უნდა განახორციელოს ადამიანმა, რომელსაც აქვს ავტორიტეტი და გადაწყვეტილების შეცვლის კომპეტენცია. ანალიზის დროს ასეთმა ადამიანმა უნდა გაითვალისწინოს ყველა რელევანტური მონაცემები.

DPIA-ს ფარგლებში, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა მოახდინოს იდენტიფიცირება და აღრიცხოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადამიანური რესურსის ჩართვის მასშტაბი და რა ეტაპზე ხდება ადამიანური რესურსის ჩართვა.

B. „სამართლებრივი შედეგი“ ან „მსგავსი არსებითი მნიშვნელობის მქონე სხვა შედეგი“

GDPR-ი ითვალისწინებს, რომ ავტომატიზებული დამუშავების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებას, მათ შორის, პროფაილინგს, შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს ადამიანებზე. GDPR-ი არ განმარტავს „სამართლებრივი შედეგის“ ან „მსგავსი არსებითი მნიშვნელობის მქონე სხვა შედეგის“ მნიშვნელობას, თუმცა, ფორმულირებიდან ნათელია, რომ 22-ე მუხლი მოიცავს მხოლოდ მნიშვნელოვან/არსებით შედეგებს.

„გადაწყვეტილება, რომელსაც მოაქვს სამართლებრივი შედეგი“

სამართლებრივი შედეგი ნიშნავს იმას, რომ გადაწყვეტილება, რომელიც მხოლოდ ავტომატიზებულ დამუშავებას ეფუძნება, გავლენას ახდენს პირის სამართლებრივ უფლებებზე, როგორცაა, სხვებთან ასოცირების უფლება, ხმის მიცემის უფლება ან საჩივრის წარდგენის უფლება. სამართლებრივი შედეგი, შესაძლოა, გავლენას ახდენდეს პირის სამართლებრივ სტატუსზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებებზე. ამ ტიპის შედეგის მაგალითებია ავტომატიზებული გადაწყვეტილებები ფიზიკური პირის შესახებ, რომელიც იწვევს:

- ხელშეკრულების შეწყვეტას;
- კანონით გათვალისწინებული გარკვეული სოციალური სარგებლის მინიჭებას ან მინიჭებაზე უარის თქმას, როგორცაა, დახმარება არასრულწლოვანთან ან საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით;
- ქვეყანაში შესვლაზე უარს ან მოქალაქეობაზე უარს.

„მსგავსი არსებითი მნიშვნელობის მქონე სხვა შედეგი“

მაშინაც კი, როდესაც გადაწყვეტილების მიღების პროცესს არ აქვს გავლენა ადამიანის სამართლებრივ უფლებებზე, იგი კვლავ შეიძლება ხვდებოდეს 22-ე მუხლის მოქმედების ფარგლებში, თუ იგი განაპირობებს შედეგს, რომელიც სამართლებრივი შედეგის ეკვივალენტურია ან მსგავსია.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მაშინაც კი, თუ არ იცვლება პირის სამართლებრივი უფლებები ან ვალდებულებები, გადაწყვეტილებამ, შესაძლოა, მონაცემთა სუბიექტზე იქონიოს იმდენად დიდი გავლენა, რომ გამოიწვიოს აღნიშნული დებულებით გათვალისწინებული დამცავი მექანიზმის ამოქმედება. GDPR-ში ფრაზას „არსებითი მნიშვნელობის მქონე“ ემატება სიტყვა „მსგავსი“ (რასაც არ ვხვდებით 95/46/EC დირექტივის მე-15 მუხლში). შესაბამისად, იმისათვის, რომ გადაწყვეტილებამ *მნიშვნელოვნების* დადგენილ ზღვარს მიაღწიოს, ამ გადაწყვეტილებით დამდგარი შედეგი უნდა იყოს სამართლებრივი შედეგის მსგავსი.

პრემიუმის 71-ე პუნქტი შეიცავს შემდეგ ტიპურ მაგალითებს: ონლაინ საკრედიტო განაცხადზე ავტომატური უარი“ ან „ელექტრონული რეკრუტირების პრაქტიკა ადამიანური ინტერვენციის გარეშე“.

იმისათვის, რომ მონაცემთა დამუშავებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ადამიანზე, დამუშავების შედეგები უნდა იყოს იმდენად დიდი, რომ იპყრობდეს ყურადღებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გადაწყვეტილებას უნდა ჰქონდეს პოტენციალი:

- მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს შესაბამის პირთა გარემოებებზე, ქცევასა თუ არჩევანზე;
- ხანგრძლივი ან მუდმივი გავლენა იქონიოს მონაცემთა სუბიექტზე; ან
- რადიკალურ შემთხვევებში, გამოიწვიოს შესაბამისი პირების გამორიცხვა ან დისკრიმინაცია.

რთულია ზუსტად განვსაზღვროთ, თუ რა ჩაითვლება საკმარისად *მნიშვნელოვნად*, იმისათვის, რომ გადაწყვეტილებამ მიაღწიოს მნიშვნელოვნების ზღვარს. თუმცა, ქვემოთ წარმოდგენილი გადაწყვეტილებები ამ კატეგორიაში ხვდება:

- გადაწყვეტილებები, რომლებიც გავლენას ახდენს ადამიანის ფინანსურ მდგომარეობაზე, როგორცაა, მათი შესაძლებლობა, მიიღონ კრედიტი;
- გადაწყვეტილებები, რომლებიც გავლენას ახდენს ადამიანის ჯანდაცვის სერვისებზე წვდომაზე;
- გადაწყვეტილებები, რომლებიც ადამიანს უზღუდავს დასაქმების შესაძლებლობას ან მათ მნიშვნელოვან არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს;
- გადაწყვეტილებები, რომლებიც გავლენას ახდენს განათლების ხელმისაწვდომობაზე, მაგ., უნივერსიტეტში ჩარიცხვაზე.

აღნიშნულს, აგრეთვე, მივყავართ ონლაინ რეკლამის საკითხთან, რომელიც სულ უფრო და უფრო მეტად ეყრდნობა ავტომატიზებულ ინსტრუმენტებს და მოიცავს ინდივიდუალური გადაწყვეტილებების მიღებას მხოლოდ ავტომატიზებული დამუშავების საფუძველზე. GDPR-ის ზოგად დებულებებთან ერთად (რომლებიც III თავშია განხილული), ამ კუთხით აგრეთვე რელევანტურია ონლაინ სივრცეში პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ რეგულაცია (შემოთავაზებული ვერსია).

ამას გარდა, ბავშვები უფრო მეტ დაცვას საჭიროებენ, როგორც ეს ქვემოთ, V თავშია განხილული.

ტიპურ შემთხვევებში, პროფაილინგის საფუძველზე მიზნობრივი რეკლამის გაშვებას არ ექნება „მსგავსი არსებითი მნიშვნელობის“ გავლენა ფიზიკურ პირებზე - მაგალითად, მეინსტრიმული ონლაინ ტანსაცმლის რეკლამა, რომელიც ეფუძნება მარტივ დემოგრაფიულ პროფილს: „ბრიუსელის რეგიონში 25-დან 35 წლამდე ასაკის ქალები, რომლებიც სავარაუდოდ დაინტერესებულები არიან მოდით და ტანსაცმლით.“

ამავდროულად, ზოგ შემთხვევაში, ასეთ რეკლამას შესაძლებელია, რომ ჰქონდეს „მსგავსი არსებითი მნიშვნელობის გავლენა“, კონკრეტული შემთხვევის გარემოებების მიხედვით, კერძოდ:

- პროფაილინგის პროცესის ინვაზიურობა, მათ შორის, ფიზიკურ პირთა მონიტორინგი სხვადასხვა ვებგვერდებზე, მოწყობილობებსა და სერვისებზე;
- ფიზიკურ პირთა მოლოდინები და სურვილები;
- რეკლამის მიწოდების ფორმა; ან
- მონაცემთა სუბიექტის სხვა სუსტი მხარეების (მოწყვლადობის) შესახებ ცოდნის გამოყენება.

დამუშავებას, რომელსაც სავარაუდოდ მცირე გავლენა აქვს ფიზიკურ პირებზე, შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა საზოგადოების გარკვეულ ჯგუფებზე, როგორცაა, უმცირესობები ან მოწყვლადი ზრდასრულები. მაგალითად, ადამიანი, რომელიც სავარაუდოდ განიცდის ფინანსურ სირთულეებს, ხოლო მას ხშირად უგზავნიან რეკლამებს მაღალპროცენტიანი სესხების შესახებ, შესაძლოა, ისარგებლოს ასეთი შეთავაზებით და კიდევ უფრო მეტი ვალი დაიდოს.

გადაწყვეტილების მიღებას ავტომატიზებული დამუშავების საფუძველზე, რომელიც იწვევს პერსონალური მონაცემების ან პერსონალური მახასიათებლების საფუძველზე ფასთა დიფერენციაციას, შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს თუ, მაგალითად, მაღალი ფასები ადამიანს ართმევს გარკვეული პროდუქტებით ან მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობას.

მსგავსად აღნიშნულისა, მონაცემთა სუბიექტის მიმართ ავტომატიზებული დამუშავების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებაზე შესაძლებელია, რომ სხვა ადამიანების ქმედებებმა იქონიოს მნიშვნელოვანი გავლენა. ქვემოთ განხილულია ამის მაგალითი:

| |
|--|
| მაგალითი |
| საკრედიტო კომპანიამ შესაძლებელია, რომ მომხმარებლის საკრედიტო ბარათის ლიმიტი შეამციროს არა მომხმარებლის მიერ განხორციელებულ შენატანებზე დაყრდნობით, არამედ, არატრადიციული საკრედიტო კრიტერიუმების |

საფუძველზე, როგორცაა, სხვა მომხმარებელთა ანალიზი, რომლებიც ცხოვრობენ იმავე ტერიტორიაზე და იმავე მაღაზიებში ვაჭრობენ.

ეს ნიშნავს, რომ ადამიანს შესაძლებლობები ეზღუდება სხვების ქმედებების საფუძველზე.

ამ ტიპის მახასიათებლების გამოყენებამ, განსხვავებულ კონტექსტში, შესაძლოა, გამოიწვიოს საკრედიტო ლიმიტის გაზრდა ისეთი ადამიანის შემთხვევაში, რომელსაც არ აქვს სათანადო საკრედიტო ისტორია და ვერ აკმაყოფილებს ტრადიციულ საკრედიტო კრიტერიუმებს.

C. გამონაკლისები აკრძალვიდან

22(1) მუხლი ადგენს ზოგადად კრძალავს გადაწყვეტილების მიღებას მხოლოდ ავტომატიზებული დამუშავების საფუძველზე, თუ ამ გადაწყვეტილებას ექნება სამართლებრივი ან მსგავსი არსებითი მნიშვნელობის მქონე სხვა შედეგი (იხ. ზემოთ).

ეს ნიშნავს, რომ დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა არ უნდა განახორციელოს 22(1) მუხლში აღწერილი დამუშავება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახეზეა 22(2) მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი კრიტერიუმი - როდესაც გადაწყვეტილება:

ა) აუცილებელია მონაცემთა სუბიექტსა და დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს შორის ხელშეკრულების დასადებად ან შესასრულებლად;

ბ) დასაშვებია/გათვალისწინებულია ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოების კანონით, რომელიც ვრცელდება დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირზე და რომელიც ადგენს მონაცემთა სუბიექტის უფლებების, თავისუფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის სათანადო გარანტიებს; ან

გ) ეფუძნება მონაცემთა სუბიექტის აშკარად გამოხატულ თანხმობას.

როდესაც გადაწყვეტილების მიღება ეხება 9(1) მუხლში განსაზღვრულ მონაცემთა განსაკუთრებულ კატეგორიებს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, უზრუნველყოს 22(4) მუხლით დადგენილი მოთხოვნების შესრულება.

1. ხელშეკრულების შესრულება

დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა, შესაძლოა, მოისურვოს გადაწყვეტილების მხოლოდ ავტომატიზებული დამუშავების საფუძველზე მიღება სახელშეკრულებო მიზნებისთვის, რადგან იგი თვლის, რომ ამ მიზნის მიღწევისთვის აღნიშნული ყველაზე შესაფერისი გზაა. ადამიანური რესურსის რუტინული ჩართულობა ზოგ შემთხვევაში არაპრაქტიკულია ან შეუძლებელია დასამუშავებელი მონაცემების მოცულობიდან გამომდინარე.

დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა დაადასტუროს, რომ ამ ტიპის დამუშავება არის აუცილებელი და გაითვალისწინოს, შესაძლებელია თუ არა პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების ყველაზე ნაკლებად შემზღვევადი მეთოდის გამოყენება.³⁵ თუ იგივე მიზნის მიღწევის სხვა ეფექტური და პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების ნაკლებად შემზღვევადი საშუალება არსებობს, მაშინ, აღნიშნული ტიპის დამუშავება აღარ იქნება „აუცილებელი“.

გადაწყვეტილების მიღება ავტომატიზებული დამუშავების საფუძველზე, რომელიც 22(1) მუხლშია აღწერილი, შესაძლოა, აგრეთვე, აუცილებელი იყოს წინასახელშეკრულებო დამუშავებისთვის.

მაგალითი

ერთ-ერთი კომპანია აქვეყნებს ვაკანსიას. ვინაიდან ეს კომპანია საკმაოდ პოპულარული დამსაქმებელია, განცხადებას ათი ათასობით კანდიდატი გამოეხმაურა. კანდიდატების უაღრესად დიდი რაოდენობის გათვალისწინებით, კომპანიამ გადაწყვიტა, რომ პირველ ეტაპზე, არარელევანტური განცხადებების გაცხრილვის მიზნით გამოიყენოს სრულად ავტომატიზებული დამუშავება. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი პრაქტიკულად ვერ შეძლებს შესაფერისი კანდიდატის იდენტიფიცირებას. ამ შემთხვევაში, ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღება, შესაძლოა, აუცილებელი იყოს კანდიდატთა შემოკლებული სიის შესადგენად, რის საბოლოო მიზანსაც წარმოადგენს მონაცემთა სუბიექტთან ხელშეკრულების გაფორმება.

III თავი (სექცია B) უფრო მეტ ინფორმაციას შეიცავს ხელშეკრულების, როგორც დამუშავების კანონიერი საფუძვლის შესახებ.

2. დასაშვებია ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონით

ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღება, პროვაილინგის ჩათვლით, შესაძლოა განხორციელდეს 22(2)(b) მუხლის საფუძველზე, თუ ეს დასაშვებია ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონით. შესაბამისი კანონი, აგრეთვე, უნდა ადგენდეს სათანადო ზომებს მონაცემთა სუბიექტის უფლებების და თავისუფლებების და ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად.

პრემიუმის 71-ე პუნქტის მიხედვით, ეს შესაძლებელია მოიცავდეს 22(1) მუხლში განსაზღვრული ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღების გამოყენებას თაღლითობის და გადასახადებისთვის თავის არიდების მონიტორინგის და

³⁵ Buttarelli, Giovanni. Assessing the necessity of measures that limit the fundamental right to the protection of personal data. A Toolkit European Data Protection Supervisor, 2017 წლის 11 აპრილი. https://edps.europa.eu/sites/edp/files/publication/17-04-11_necessity_toolkit_en_0.pdf ნანახია 2017 წლის 24 აპრილს.

პრევენციისთვის, ან დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ მიწოდებული მომსახურების უსაფრთხოების და საიმედოობის უზრუნველსაყოფად.

3. აშკარად გამოხატული თანხმობა

22-ე მუხლი ითხოვს აშკარად გამოხატულ თანხმობას. დამუშავება, რომელიც 22(1) მუხლის განმარტების ქვეშ ხვდება, მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის მონაცემთა დაცვას. შესაბამისად, მიზანშეწონილია, რომ ფიზიკური პირი მაღალ დონეზე აკონტროლებდეს საკუთარ პერსონალურ მონაცემებს.

აშკარად გამოხატული თანხმობა არ არის განმარტებული GDPR-ში, ხოლო WP29-ის სახელმძღვანელო პრინციპები თანხმობის შესახებ³⁶ შეიცავს ინსტრუქციებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოხდეს აღნიშნულის განმარტება.

III თავი (სექცია B) უფრო მეტ ინფორმაციას შეიცავს, ზოგადად, თანხმობის შესახებ.

D. განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემები - მუხლი 22(4)

ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღება (აღწერილია 22(1) მუხლში), რომელიც მოიცავს განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავებას, დაშვებულია მხოლოდ ქვემოთ წარმოდგენილი კუმულაციური (ერთობლივი) გარემოებების არსებობის შემთხვევაში (მუხლი 22(4)):

- სახეზეა 22(2) მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისი; და
- მოქმედებს 9(2) მუხლის (a) ან (g) ქვეპუნქტი.

9(2)(a) - არსებობს მონაცემთა სუბიექტის ნათლად გამოხატული თანხმობა

9(2)(g) - ზ) დამუშავება აუცილებელია არსებითი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონის საფუძველზე, რომელიც დასახული მიზნის პროპორციული უნდა იყოს, პატივს სცემდეს მონაცემთა დაცვის უფლების არსს და ითვალისწინებდეს სათანადო და კონკრეტულ ღონისძიებებს მონაცემთა სუბიექტის ფუნდამენტური უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.

³⁶ 29-ე მუხლის სამუშაო ორგანიზაცია. სახელმძღვანელო პრინციპები თანხმობის შესახებ, 2016/679 რეგულაციის მიხედვით, 2017 წლის 28 ნოემბერი, http://ec.europa.eu/newsroom/just/document.cfm?doc_id=48849. ნანახია 2017 წლის 18 დეკემბერს.

ორივე ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, დაწეროს სათანადო ზომები მონაცემთა სუბიექტის ფუნდამენტური უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.

E. მონაცემთა სუბიექტის უფლებები³⁷

1. მუხლები 13(2)(f) და 14(2)(g) - ინფორმაციის მიღების უფლება

იმ პოტენციური რისკების და ჩარევების გათვალისწინებით, რომელსაც მოიცავს 22 მუხლით განსაზღვრული პროფაილინგი, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მათ ვალდებულებებს გამჭვირვალობასთან დაკავშირებით.

13(2)(f) და 14(2)(g) მუხლების თანახმად, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირებს მოეთხოვებათ, წარმოადგინონ კონკრეტული, ადვილად მისაწვდომი ინფორმაცია ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღების შესახებ, რომელიც მხოლოდ ავტომატიზებულ დამუშავებას ეფუძნება, პროფაილინგის ჩათვლით, რომელიც იწვევს სამართლებრივ ან მსგავსი არსებითი მნიშვნელობის შედეგს.³⁸

თუ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი იღებს 22(1) მუხლში აღწერილ ავტომატიზებულ გადაწყვეტილებებს, იგი ვალდებულია:

- მონაცემთა სუბიექტს შეატყობინოს, რომ იგი ახორციელებს ამგვარ აქტივობას;
- მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს მნიშვნელოვანი/არსებითი ინფორმაცია გამოყენებული ლოგიკის/კრიტერიუმების შესახებ; და
- განმარტოს დამუშავების მნიშვნელობა და გათვალისწინებული შედეგები.

ინფორმაციის მიწოდება დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს აგრეთვე, დაეხმარება, უზრუნველყოს 22(3) მუხლში და პრეამბულის 71-ე პუნქტში მითითებული ზოგიერთი გარანტიების შესრულება.

თუ ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღება და პროფაილინგი ვერ აკმაყოფილებს 22(1) მუხლში წარმოდგენილ განმარტებას, ამ შემთხვევაშიც კარგ პრაქტიკას წარმოადგენს ზემოაღნიშნული ინფორმაციის მიწოდება. ნებისმიერ შემთხვევაში, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, საკმარისი ინფორმაცია მიაწოდოს მონაცემთა სუბიექტს, რათა დამუშავება იყოს სამართლიანი³⁹

³⁷ GDPR-ის მე-12 მუხლი ითვალისწინებს მოდალობებს, რომლებიც ვრცელდება მონაცემთა სუბიექტების მიერ უფლებების განხორციელებაზე.

³⁸ რაზეც მიუთითებს 22-ე მუხლის 1-ლი და მე-4 პუნქტები. WP სახელმძღვანელო პრინციპები გამჭვირვალობის შესახებ მოიცავს ზოგად ინფორმაციას მე-13 და მე-14 მუხლებით დადგენილი მოთხოვნების შესახებ.

³⁹ GDPR-ის პრეამბულის მე-60 პუნქტი: „დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა მონაცემთა სუბიექტს უნდა მიაწოდოს დამატებით ინფორმაცია, რომელიც საჭიროა დამუშავების სამართლიანობისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად პერსონალური მონაცემების დამუშავების

და აკმაყოფილებდეს ინფორმაციასთან დაკავშირებით მე-13 და მე-14 მუხლებით დადგენილ სხვა მოთხოვნებს.

მნიშვნელოვანი/არსებითი ინფორმაცია გამოყენებული ლოგიკის/კრიტერიუმების შესახებ

მანქანური სწავლების ზრდისა და კომპლექსურობის გათვალისწინებით, რთულია იმის გააზრება, თუ როგორ მუშაობს ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღების პროცესი ან პროფაილინგი.

დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა გამოძებნოს მარტივი გზა, რათა მონაცემთა სუბიექტს განუმარტოს გამოყენებული ლოგიკა ან კრიტერიუმები, რომლითაც ხელმძღვანელობდა გადაწყვეტილების მიღებისას. GDPR-ი ადგენს, რომ დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა მნიშვნელოვანი/არსებითი ინფორმაცია უნდა მიაწოდოს მონაცემთა სუბიექტს გამოყენებული ლოგიკის შესახებ, და არა კომპლექსური განმარტება გამოყენებული ალგორითმების შესახებ ან სრული ალგორითმი.⁴⁰ ამავდროულად, მიწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს საკმარისად ამომწურავი, რათა მონაცემთა სუბიექტმა გაიაზროს გადაწყვეტილების მიზეზები.

მაგალითი

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი იყენებს საკრედიტო ქულებს, რომლის საფუძველზეც იღებს გადაწყვეტილებას ფიზიკური პირების სასესხო განაცხადების დაკმაყოფილების ან არ დაკმაყოფილების შესახებ. ქულა საკრედიტო სააგენტოს მიერ არის დაანგარიშებული ან პირდაპირ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე გამოიანგარიშება.

წყაროს მიუხედავად (ხოლო მონაცემთა სუბიექტს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია წყაროს შესახებ, 14(2)(f) მუხლის თანახმად, თუ პერსონალური მონაცემები მონაცემთა სუბიექტისგან არ არის მოპოვებული), თუ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ეყრდნობა აღნიშნულ ქულას, მან მონაცემთა სუბიექტს უნდა განუმარტოს ინფორმაცია ქულათა სისტემის შესახებ და გამოყენებული ლოგიკა/კრიტერიუმები.

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი განმარტავს, რომ ეს პროცესი მას ეხმარება სამართლიანი და პასუხისმგებლიანი გადაწყვეტილებების მიღებაში, კრედიტის

კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით. მეტიც, მონაცემთა სუბიექტი უნდა იყოს ინფორმირებული პროფაილინგის და პროფაილინგის შედეგების შესახებ.“

⁴⁰ სირთულე არ წარმოადგენს მონაცემთა სუბიექტისათვის ინფორმაციის არ მიწოდების გამამართლებელ მიზეზს. პრეამბულის 58-ე პუნქტის თანახმად, გამჭვირვალობის პრინციპი „განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სიტუაციებში, როცა აქტორების სიმრავლე და არსებული პრაქტიკის ტექნოლოგიური სირთულე აძნელებს მონაცემთა სუბიექტის მიერ იმის გარკვევას, თუ ვინ და რა მიზნით აგროვებს მასთან დაკავშირებულ მონაცემებს, მაგალითად ონლაინ რეკლამირების შემთხვევაში.“

გაცემასთან დაკავშირებით. იგი მონაცემთა სუბიექტს აწვდის დეტალურ ინფორმაციას იმ ძირითადი მახასიათებლების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნა გადაწყვეტილების მიღებაში, ინფორმაციის წყაროსა და რელევანტურობის შესახებ. ეს, შესაძლოა მოიცავდეს:

- ინფორმაციას, რომელიც მონაცემთა სუბიექტმა მიაწოდა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს, განაცხადის ფორმის შევსების შედეგად;
- ინფორმაცია წინა კრედიტებთან დაკავშირებით, მათ შორის, დავალიანების შესახებ; და
- ინფორმაცია ოფიციალური, საჯარო ბაზებიდან - მაგ., თაღლითობის შესახებ ბაზა ან გადახდისუუნარო პირთა ბაზა.

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი მონაცემთა სუბიექტს, აგრეთვე, განუმარტავს, რომ საკრედიტო ქულების მეთოდები, რომელსაც იგი იყენებს, რეგულარულად მოწმდება სამართლიანობის, ეფექტურობის და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფის მიზნით.

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი მონაცემთა სუბიექტს აწვდის საკონტაქტო ინფორმაციას, რათა მან შეძლოს მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება, 22(3) მუხლის შესაბამისად.

„მნიშვნელობა“ და „გათვალისწინებული შედეგები“

აღნიშნული ტერმინი მიუთითებს, რომ მონაცემთა სუბიექტს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია დაგეგმილი ან სამომავლო დამუშავების შესახებ და იმაზე, თუ რა გავლენას იქონიებს ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღება მონაცემთა სუბიექტზე.⁴¹ იმისათვის, რომ ეს ინფორმაცია იყოს ეფექტური და გასაგები, წარმოდგენილი უნდა იქნას რეალური, ხელშესახები მაგალითები დამუშავების შესაძლო შედეგების თაობაზე.

⁴¹ ევროპის საბჭო. ევროპის საბჭოს მოდერნიზებული 108-ე კონვენციის შესახებ განმარტებითი ანგარიშის პროექტი, პუნქტი 75: „მონაცემთა სუბიექტებს უნდა ჰქონდეთ უფლება, მიიღონ ინფორმაცია მათი მონაცემების დამუშავების ლოგიკური საფუძვლების შესახებ, მათ შორის, ამგვარი ლოგიკური საფუძვლების შედეგების შესახებ, რამაც გამოიწვია გარკვეული დასკვნები, განსაკუთრებით, ისეთ შემთხვევებში, რომლებიც ეხება ალგორითმების გამოყენებას ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღებისთვის, მათ შორის, პროფაილინგისთვის. მაგალითად, საკრედიტო ქულების შემთხვევაში, მათ უნდა ჰქონდეთ უფლება, მიიღონ ინფორმაცია იმ ლოგიკური დასაბუთების შესახებ, რომელიც მათი მონაცემების დამუშავებას უდევს საფუძვლად და რომელმაც განაპირობა „კი“ ან „არა“ გადაწყვეტილების მიღება, და არა უბრალოდ ინფორმაცია გადაწყვეტილების შესახებ. ამ ელემენტების გააზრების გარეშე, ადგილი არ ექნება სხვა აუცილებელი გარანტიების ეფექტურ განხორციელებას, როგორცაა, დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნის უფლება და კომპეტენტური ორგანოს წინაშე გასაჩივრების უფლება.“

<https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=09000016806b6ec>
2. ნანახია 2017 წლის 24 აპრილს.

ციფრულ კონტექსტში, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირებს შეუძლიათ საილუსტრაციოდ გამოიყენონ დამატებითი ინსტრუმენტები.

მაგალითი

სადაზღვევო კომპანია ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღების პროცესს იყენებს სადაზღვევო პრემიუმების ოდენობის განსაზღვრის მიზნით, ავტომობილის მართვასთან დაკავშირებული ქცევის მონიტორინგის საფუძველზე. დამუშავების მნიშვნელობისა და გათვალისწინებული შედეგების სადემონსტრაციოდ, იგი განმარტავს, რომ ავტომობილის სახიფათო ტარებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს პრემიუმის სახით გადასახდელი თანხის გაზრდა და იგი მომხმარებლებს აწვდის აპლიკაციას, რომელიც ერთმანეთს ადარებს ფიქტიურ მძღოლებს. ერთი-ერთი მძღოლი სახიფათოდ მართავს მანქანას: სწრაფად აჩქარებს და ბოლო მომენტში ამუხრუჭებს.

მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი გრაფიკულ გამოსახულებებს იყენებს, რათა მონაცემთა სუბიექტებს განუმარტოს, თუ როგორ შეძლებენ ისინი თავიანთი ჩვევების გაუმჯობესებას და როგორ შეამცირებენ სადაზღვევო პრემიუმების მოცულობას.

დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირებს შეუძლიათ მსგავსი ვიზუალური ტექნიკის გამოყენება იმისათვის, რომ განმარტონ, თუ როგორ მოხდა წარსული გადაწყვეტილების მიღება.

2. მუხლი 15(1)(h) - წვდომის უფლება

15(1)(h) მუხლის თანახმად, მონაცემთა სუბიექტებს უფლება აქვთ, მხოლოდ ავტომატიზებული დამუშავების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების (პროფაილინგის ჩათვლით) შესახებ, მიიღონ იგივე ინფორმაცია, რაც 13(2)(f) და 14(2)(g) მუხლებით არის გათვალისწინებული. კერძოდ:

- ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღების არსებობა, პროფაილინგის ჩათვლით;
- მნიშვნელოვანი/არსებითი ინფორმაცია გამოყენებული ლოგიკის/კრიტერიუმების შესახებ; და
- დამუშავების მნიშვნელობა და გათვალისწინებული შედეგები.

დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მონაცემთა სუბიექტისთვის უკვე უნდა ჰქონდეს ეს ინფორმაცია მიწოდებული, მე-13 მუხლით დადგენილი ვალდებულებების შესაბამისად.⁴²

⁴² GDPR-ის 12(3) მუხლი განმარტავს ამ ინფორმაციის მიწოდების ვადებს.

15(1)(h) მუხლის მიხედვით, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა მონაცემთა სუბიექტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია დამუშავების *გათვალისწინებული შედეგების* შესახებ, ნაცვლად *კონკრეტული* გადაწყვეტილების განმარტებისა. პრეამბულის 63-ე მუხლში განმარტებულია, რომ თითოეულ მონაცემთა სუბიექტს აქვს წვდომის უფლება, რათა მიიღოს ინფორმაცია მონაცემთა ავტომატური დამუშავების შესახებ, მათ შორის, გამოყენებული ლოგიკის შესახებ; ასევე, პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავების შედეგების შესახებ, სულ მცირე, პროფაილინგის შემთხვევებში.

მე-15 მუხლით გათვალისწინებული უფლებების განხორციელებით, მონაცემთა სუბიექტი იღებს ინფორმაციას მის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, მათ შორის, პროფაილინგის საფუძველზე.

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს ზოგადი ინფორმაცია (განსაკუთრებით, გადაწყვეტილების მიღების პროცესში გათვალისწინებული ფაქტორების შესახებ და განზოგადებულ დონეზე, მათი შესაბამისი „წონის“ შესახებ), რაც მას აგრეთვე დაეხმარება გადაწყვეტილების გასაჩივრებაში.

F. სათანადო გარანტიების შექმნა

თუ დამუშავების საფუძველი არის 22(2)(a) ან 22(2)(c) მუხლები, 22(3) მუხლის თანახმად, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირებს მოეთხოვებათ სათანადო ზომების განხორციელება, მონაცემთა სუბიექტების უფლებების, თავისუფლებების და ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად. 22(2)(b) მუხლის მიხედვით, წევრი სახელმწიფოს ან ევროკავშირის კანონი, რომელიც დამუშავების უფლებამოსილებას იძლევა, აგრეთვე, უნდა ითვალისწინებდეს სათანადო გარანტიებს/დაცვით ზომებს.

ამგვარი ზომები უნდა ითვალისწინებდეს, როგორც მინიმუმ, საშუალებას მონაცემთა სუბიექტის მიერ ადამიანური რესურსის ჩართვის მოთხოვნისთვის, საკუთარი მოსაზრების გამოხატვისთვის და გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის.

ადამიანური რესურსის ინტერვენცია ძირითადი ელემენტია. ზედამხედველობა უნდა განახორციელოს ადამიანმა, რომელსაც აქვს ავტორიტეტი და გადაწყვეტილების შეცვლის კომპეტენცია. ანალიზის დროს ასეთმა ადამიანმა უნდა გაითვალისწინოს ყველა რელევანტური მონაცემები, მათ შორის, მონაცემთა სუბიექტის მიერ წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაცია.

პრეამბულის 71-ე პუნქტი ხაზს უსვამს, რომ *ნებისმიერ შემთხვევაში*, სათანადო გარანტიები, აგრეთვე, უნდა მოიცავდეს:

მონაცემთა სუბიექტისათვის სპეციფიკური ინფორმაციის მიწოდებას და მონაცემთა სუბიექტის უფლებას მოიპოვოს მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება ამგვარი შეფასების შემდგომ და გაასაჩივროს გადაწყვეტილება.

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, მონაცემთა სუბიექტი უზრუნველყოს ამ უფლებების განხორციელების მარტივი საშუალებით.

აღნიშნული ხაზს უსვამს გამჭვირვალობის საჭიროებას. მონაცემთა სუბიექტი შეძლებს მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებას და საკუთარი მოსაზრების გამოხატვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი სრულად გაიაზრებს, თუ როგორ იქნა ეს გადაწყვეტილება მიღებული და რის საფუძველზე. გამჭვირვალობის შესახებ მოთხოვნები განხილულია IV თავში (სექცია E).

შეცდომები ან მიკერძოება შეგროვებულ ან გაზიარებულ ინფორმაციაში, ან შეცდომები ან მიკერძოება ავტომატიზებული გადაწყვეტილების პროცესში, სავარაუდოდ, გამოიწვევს:

- არასწორ კლასიფიკაციებს; და
- შეფასებებს, რომლებიც ეფუძნება არასწორ გათვლებს/პროგნოზებს; და
- უარყოფით გავლენას ახდენს ფიზიკურ პირებზე.

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან, განახორციელონ ხშირი შეფასება იმ მონაცემების რეგულარული შეფასება, რომელსაც ისინი ამუშავებენ, რათა გამოავლინონ მიკერძოებები და შეიმუშაონ მიკერძოების ელემენტებზე (რაც, მათ შორის, მოიცავს კორექციებზე გადაჭარბებით დაყრდნობას) რეაგირების გზები. სხვა სასარგებლო ზომები მოიცავს სისტემებს, რომლებიც უზრუნველყოფს ალგორითმების აუდიტს და ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღების, მათ შორის, პროფაილინგის სიზუსტის და რელევანტურობის რეგულარულ შეფასებას.

დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირებმა უნდა დანერგონ სათანადო პროცედურები და ზომები შეცდომების, უზუსტობების ან განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა საფუძველზე დისკრიმინაციის პრევენციისთვის.⁴³ ეს ზომები გამოყენებული უნდა იქნას ციკლობრივად; არა მხოლოდ დიზაინის ეტაპზე, არამედ, აგრეთვე, უწყვეტად, ფიზიკური პირების მიმართ პროფაილინგის გამოყენების პროცესში. ამგვარი ტესტირების შედეგები სისტემის დიზაინში უნდა იქნას გათვალისწინებული.

⁴³ GDPR-ის პრეამბულის 71-ე პუნქტის თანახმად: „მონაცემთა სამართლიანი და გამჭვირვალე დამუშავების უზრუნველსაყოფად, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კონკრეტული გარემოებებისა და კონტექსტის გათვალისწინებით, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა გამოიყენოს პროფაილინგისთვის საჭირო მათემატიკური და სტატისტიკური მეთოდები, და განახორციელოს ტექნიკური და ორგანიზაციული ღონისძიებები პერსონალურ მონაცემებში უზუსტობების გამოსარიცხად და შეცდომის დაშვების რისკების შესამცირებლად, ...“

სათანადო გარანტიების მაგალითები წარმოდგენილია რეკომენდაციების სექციაში.

V. არასრულწლოვნები და პროფაილინგი

GDPR-ი აწესებს დამატებით ვალდებულებებს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირებისთვის, როდესაც ისინი არასრულწლოვნების პერსონალურ მონაცემებს ამუშავებენ.

თავად 22-ე მუხლი ერთმანეთისაგან არ განარჩევს არასრულწლოვნების და სრულწლოვნების მონაცემების დამუშავებას. თუმცა, პრეამბულის 71-ე პუნქტის თანახმად, მხოლოდ ავტომატიზებული დამუშავების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებები, პროფაილინგის ჩათვლით, რომელთაც აქვთ სამართლებრივი ან მსგავსი არსებითი მნიშვნელობის მქონე სხვა შედეგი, არ უნდა გავრცელდეს არასრულწლოვნებზე.⁴⁴ ვინაიდან ეს ფორმულირება არ არის ასახული თავად შესაბამის მუხლში, WP29 არ თვლის, რომ აღნიშნული წარმოადგენს არასრულწლოვნებთან მიმართებით ამ ტიპის დამუშავების აბსოლუტურ აკრძალვას. ამავდროულად, პრეამბულის ამ პუნქტის გათვალისწინებით, WP29 გასცემს რეკომენდაციას, რომ როგორც წესი, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირები არ უნდა დაეყრდნონ 22(2) მუხლში მითითებულ გამონაკლისებს ამგვარი დამუშავების დასაბუთებისთვის.

ამავდროულად, შესაძლოა არსებობდეს გარკვეული გარემოებები, როდესაც აუცილებელია დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ ავტომატიზებული დამუშავების საფუძველზე, პროფაილინგის ჩათვლით, რასაც ექნება სამართლებრივი ან მსგავსი არსებითი მნიშვნელობის მქონე სხვა შედეგი ბავშვების მიმართ, მაგ., მათი კეთილდღეობის დასაცავად. ასეთ შემთხვევაში, დამუშავების განხორციელება შესაძლებელია 22(2) მუხლის (a), (b) ან (c) პუნქტებით გათვალისწინებული გამონაკლისების საფუძველზე, საჭიროების შესაბამისად.

ასეთ შემთხვევებში, სათანადო გარანტიები უნდა მოქმედებდეს, 22-ე მუხლის (2)(b) და (3) პუნქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად და ეს გარანტიები ბავშვებისთვის შესაფერისი უნდა იყოს. დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, უზრუნველყოს აღნიშნული გარანტიების ეფექტურობა იმ ბავშვების უფლებების, თავისუფლებების და ლეგიტიმური ინტერესების დაცვის კუთხით, რომელთა მონაცემებიც მუშავდება.

არასრულწლოვნების განსაკუთრებული დაცვის საჭიროება ასახულია პრეამბულის 38-ე პუნქტში, რომლის თანახმად:

⁴⁴ პრეამბულის 71-ე პუნქტი - „ეს ზომა არ უნდა ეხებოდეს არასრულწლოვანს.“

არასრულწლოვნები სარგებლობენ პერსონალური მონაცემების დაცვის განსაკუთრებული უფლებით, რადგან მათთვის შეიძლება ნაკლებად იყოს ცნობილი ის რისკები, შედეგები, დაცვის მექანიზმები და მათი უფლებები, რომლებიც უკავშირდება პერსონალური მონაცემების დამუშავებას. კერძოდ, ამგვარი განსაკუთრებული დაცვა უნდა შეეხოს არასრულწლოვნების პერსონალური მონაცემების გამოყენებას *მარკეტინგის მიზნებისთვის ან პიროვნების ან მომხმარებლის პროფილის შექმნას და არასრულწლოვნებთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების შეგროვებას ისეთი მომსახურების გამოყენებისას, რომლის შეთავაზებაც არასრულწლოვანისათვის პირდაპირ ხდება.*

22-ე მუხლი დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს არ უკრძალავს ბავშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას მხოლოდ ავტომატიზებული დამუშავების საფუძველზე, თუ გადაწყვეტილებას არ ექნება სამართლებრივი ან მსგავსი არსებითი მნიშვნელობის მქონე სხვა შედეგი ბავშვის მიმართ. ამავდროულად, მხოლოდ ავტომატიზებული დამუშავების საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელიც გავლენას ახდენს ბავშვის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობაზე და ქცევაზე, შესაძლებელია, რომ ჰქონდეს სამართლებრივი ან მსგავსი არსებითი მნიშვნელობის მქონე სხვა შედეგი ბავშვის მიმართ, იმის მიხედვით, თუ რა არჩევანს და ქცევას ეხება მოცემული შემთხვევა.

ვინაიდან არასრულწლოვნები საზოგადოების შედარებით მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენენ, ზოგადად, ორგანიზაციები ვალდებული არიან, თავი შეიკავონ არასრულწლოვანთა პროფაილინგისგან, მარკეტინგული მიზნებისთვის.⁴⁵ ბავშვები განსაკუთრებით მოწყვლადები არიან ონლაინ გარემოში და მათზე შედარებით ადვილად ახდენს გავლენას ქცევაზე დაფუძნებული რეკლამა. მაგალითად, ონლაინ თამაშების შემთხვევაში, პროფაილინგი შესაძლებელია გამოყენებული იქნას იმ მოთამაშეების „მიზანში ამოსაღებად“, რომლებიც, ალგორითმის მიხედვით, უფრო მეტად არიან მიდრეკილები თამაშზე ფულის დახარჯვაზე. შესაძლებელია, რომ მათ მიმართ უფრო პერსონალიზებული რეკლამები იქნას გამოყენებული. ბავშვის ასაკი და სიმწიფის დონე გავლენას ახდენს მათ შესაძლებლობაზე, გაიაზრონ თუ რა

⁴⁵ WP29-ის დასკვნა 02/2013, რომელიც ეხება აპლიკაციებს ჰკვიან მოწყობილობებზე (WP202), მიღებულია 2013 წლის 27 თებერვალს. 3.10 სექციის თანახმად, რომელიც ეხება არასრულწლოვნებს (გვ.26): „დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირებმა არ უნდა დაამუშავონ არასრულწლოვნების მონაცემები ქცევაზე დაფუძნებული რეკლამის მიზნებისთვის, არც პირდაპირ და არც ირიბად, ვინაიდან აღნიშნული ხვდება ბავშვის აღქმის (გაგების) ფარგლებს გარეთ და შესაბამისად, აჭარბებს კანონიერი დამუშავების საზღვრებს.“

კონკრეტული მოტივი აქვს ამ ტიპის მარკეტინგს ან რაში მდგომარეობს მისი შედეგები.⁴⁶

მუხლი 40(2)(გ) მკაფიოდ მიუთითებს ქცევის კოდექსების მომზადებაზე, რომელიც შეიცავს დაცვის მექანიზმებს ბავშვებისთვის; დაცვის მექანიზმების გათვალისწინება არსებულ კოდექსებშიც არის შესაძლებელი.⁴⁷

VI. მონაცემთა დაცვაზე ზემოქმედების შეფასება (DPIA) და მონაცემთა დაცვის ოფიცერი (DPO)

ანგარიშვალდებულება GDPR-ით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი სფერო და ცალსახა მოთხოვნაა.⁴⁸

ანგარიშვალდებულების ძირითადი ინსტრუმენტი - DPIA, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს საშუალებას აძლევს, შეაფასოს რისკები, რომლებსაც მოიცავს გადაწყვეტილების ავტომატიზებული მიღება, პროფაილინგის ჩათვლით. იგი წარმოადგენს საშუალებას იმის საჩვენებლად, რომ სათანადო ზომები არის დანერგილი აღნიშნულ რისკებზე რეაგირებისთვის და ახდენს GDPR-თან შესაბამისობის დემონსტრირებას.

35(3)(a) მუხლი ხაზს უსვამს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ DPIA-ს განხორციელების საჭიროებას შემდეგ შემთხვევაში:

ფიზიკურ პირებთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემებთან დაკავშირებული გარკვეული ასპექტების *სისტემატური და მოცულობითი შეფასება*, რომელიც ეფუძნება ავტომატიზებულ დამუშავებას, მათ შორის, პროფაილინგს, როდესაც ამ დამუშავების შედეგად ხდება ისეთი გადაწყვეტილების მიღება,

⁴⁶ ევროკავშირის კვლევა, რომელიც ეხება [მარკეტინგის გავლენას ბავშვების ქცევაზე, სოციალური მედიის, ონლაინ თამაშებისა და მობილური აპლიკაციების საშუალებით](#), დაადგინა, რომ მარკეტინგის პრაქტიკას მკაფიო გავლენა აქვს ბავშვების ქცევაზე. ეს კვლევა ჩატარდა 6-დან 12 წლამდე ბავშვებში.

⁴⁷ ქცევის კოდექსის ერთ-ერთი მაგალითი, რომელიც ეხება მარკეტინგს ბავშვების მიმართ, მომზადებულია FEDMA-ს მიერ. ქცევის კოდექსი და განმარტებითი მემორანდუმი ხელმისაწვდომია მისამართზე: <https://www.oecd.org/sti/ieconomy/2091875.pdf>. ნანახია: 2017 წლის 15 მაისს. კერძოდ: „6.2 მარკეტერები, რომელთა სამიზნესაც ბავშვები წარმოადგენენ ან ვისთვისაც ბავშვები აუდიტორიის შემადგენელი ნაწილია, ბოროტად არ უნდა იყენებდნენ ბავშვების გულუბრყვილობას, ლოიალობას, მოწყვლადობას ან გამოცდილების ნაკლებობას.; 6.8.5 მარკეტერებმა ბავშვისთვის ვებსაიტის ხელმისაწვდომობა დამოკიდებული არ უნდა გახადონ დეტალური პერსონალური მონაცემების შეგროვებაზე. კერძოდ, სპეციალური წამახალისებელი საშუალებები, როგორცაა, პრიზები და თამაშები არ უნდა იქნას გამოყენებული ბავშვების საცდუნებლად, რათა მათ გაამყდავნონ დეტალური პერსონალური ინფორმაცია.“

⁴⁸ GDPR-ის 5(2) მუხლის თანახმად.

რომელსაც სამართლებრივი ან მსგავსი არსებითი მნიშვნელობის მქონე გავლენა აქვს ფიზიკურ პირზე;

35(3)(a) მუხლი მიუთითებს შეფასებებზე, მათ შორის, პროფაილინგზე და გადაწყვეტილებებზე, რომლებიც „ეფუძნება“ ავტომატიზებულ დამუშავებას და არა „მხოლოდ“ (სრულად) ავტომატიზებულ დამუშავებას. ეს ნიშნავს, რომ 35(3) მუხლი მოქმედებს ისეთი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში (პროფაილინგის ჩათვლით), რომელსაც სამართლებრივი ან მსგავსი არსებითი მნიშვნელობის მქონე გავლენა აქვს პირზე, და რომელიც არ არის მთლიანად ავტომატიზებული, და აგრეთვე, მხოლოდ ავტომატიზებული დამუშავების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების შემთხვევაში, რომელიც 22(1) მუხლშია განმარტებული.

თუ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ითვალისწინებს „მოდელს“, რომელიც გულისხმობს გადაწყვეტილებების *მხოლოდ* ავტომატიზებული დამუშავების საფუძველზე მიღებას, აღნიშნულს ექნება დიდი გავლენა ფიზიკურ პირებზე, მათ შესახებ შექმნილი პროფილებიდან გამომდინარე, და მას არ შეუძლია დაეყრდნოს ფიზიკური პირის თანხმობას, ხელშეკრულებას ფიზიკურ პირთან ან კანონს, რომელიც აღნიშნულის უფლებას იძლევა, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა არ უნდა განახორციელოს დამუშავება.

დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს შეუძლია გაითვალისწინოს პროფაილინგზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების „მოდელი“, თუ მნიშვნელოვნად გაიზრდება ადამიანური ინტერვენციის დონე, რათა მოდელი *აღარ წარმოადგენდეს სრულად ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღების პროცესს*, თუმცა, შესაძლებელია, რომ დამუშავება კვლავ გარკვეულ რისკებს უქმნიდეს ფიზიკური პირების ფუნდამენტურ უფლებებს და თავისუფლებებს. ასეთ შემთხვევაში, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა უზრუნველყოს ამ რისკებზე რეაგირება და წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპების III თავში აღწერილი მოთხოვნების შესრულება.

DPIA მნიშვნელოვანი გზაა იმისათვის, რომ დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა მოახდინოს იდენტიფიცირება ზომებისა, რომელსაც დანერგავს მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული რისკების აღმოსაფხვრელად, დამუშავების პროცესში. ასეთი ზომები⁴⁹, შესაძლოა, მოიცავდეს:

- მონაცემთა სუბიექტის ინფორმირებას ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღების პროცესის არსებობისა და მისი ლოგიკური საფუძვლის შესახებ;
- მონაცემთა სუბიექტისთვის დამუშავების მნიშვნელობისა და გათვალისწინებული შედეგების განმარტებას;
- მონაცემთა სუბიექტის უზრუნველყოფას გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობით;

⁴⁹ ასახავს 13(2)(f), 14(2)(g) და 22(3) მუხლების მოთხოვნებს.

- და მონაცემთა სუბიექტისათვის საკუთარი მოსაზრების გამოხატვის შესაძლებლობის მიცემას.

პროფაილინგის სხვა აქტივობები, შესაძლოა, მოითხოვდეს DPIA-ს, კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე. მიზანშეწონილია, დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირები გაეცნონ WP29-ის სახელმძღვანელო პრინციპებს DPIA-ს შესახებ⁵⁰, რაც მათ დაეხმარება DPIA-ს განხორციელების საჭიროების განსაზღვრაში.

დამატებითი ანგარიშვალდებულების მოთხოვნას წარმოადგენს მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნა იმ შემთხვევაში, როდესაც პროფაილინგი და/ან ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღება დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ძირითადი აქტივობაა და მოითხოვს მონაცემთა სუბიექტების რეგულარულ და სისტემატურ მონიტორინგს ფართო მასშტაბით. (მუხლი 37(1)(b)).⁵¹

⁵⁰ 29-ე მუხლის სამუშაო ჯგუფი. სახელმძღვანელო პრინციპები მონაცემთა დაცვაზე ზემოქმედების შეფასების შესახებ და იმის განსაზღვრის შესახებ, თუ რამდენად წარმოშობს დამუშავება მაღალ რისკს, 2016/679 რეგულაციის მიზნებისთვის. 2017 წლის 4 აპრილი. ევროკომისია. http://ec.europa.eu/newsroom/document.cfm?doc_id=44137. ნანახია 2017 წლის 24 აპრილს.

⁵¹ 29-ე მუხლის სამუშაო ჯგუფი. სახელმძღვანელო პრინციპები მონაცემთა დაცვის ოფიცრის შესახებ. 2017 წლის 5 აპრილი. http://ec.europa.eu/newsroom/article29/item-detail.cfm?item_id=612048, ნანახია 2018 წლის 22 იანვარს.

დანართი 1 - კარგი პრაქტიკის რეკომენდაციები

ქვემოთ წარმოდგენილი კარგი პრაქტიკის რეკომენდაციები დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირებს დაეხმარება პროფაილინგთან და ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით, GDPR-ით დადგენილი მოთხოვნების შესრულებაში.⁵²

| მუხლი | საკითხი | რეკომენდაცია |
|---------------------|----------------------------|---|
| 5(1)(a), 12, 13, 14 | ინფორმაციის მიღების უფლება | <p>დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირები უნდა გაეცნონ WP29-ის სახელმძღვანელო პრინციპებს გამჭვირვალობის შესახებ, რომელიც შეიცავს ზოგად მოთხოვნებს გამჭვირვალობასთან დაკავშირებით.</p> <p>ზოგადი მოთხოვნების გარდა, როდესაც დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ამუშავებს მონაცემებს 22-ე მუხლის თანახმად, მან უნდა წარმოადგინოს მნიშვნელოვანი/არსებითი ინფორმაცია გამოყენებული ლოგიკის შესახებ.</p> <p>ნაცვლად კომპლექსური, მათემატიკური განმარტებებისა იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს ალგორითმები და მანქანური სწავლება, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა მიზანშეწონილია, რომ მონაცემთა სუბიექტისთვის ინფორმაციის მიწოდებისთვის გამოიყენოს მკაფიო და ამომწურავი საშუალებებით, მაგალითად:</p> <ul style="list-style-type: none"> • მონაცემთა კატეგორიები, რომლებიც გამოყენებული იქნა ან გამოყენებული იქნება პროფაილინგის ან გადაწყვეტილების მიღების პროცესში; • რატომ არის ეს კატეგორიები მნიშვნელოვანი; • როგორ იქმნება პროფილები ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღების პროცესისთვის, მათ შორის, ანალიზში გამოყენებული სტატისტიკური მონაცემები; • რატომ არის პროფილი მნიშვნელოვანი ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღების პროცესისთვის; • როგორ გამოიყენება იგი მონაცემთა სუბიექტის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად. |

⁵² დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირებმა, აგრეთვე, უნდა დანერგონ მყარი პროცედურები 15-22 მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაკმაყოფილების მიზნით, GDPR-ით დადგენილ ვადებში.

| | | |
|---------|--|---|
| | | <p>ამგვარი ინფორმაცია, როგორც წესი, უფრო რელევანტურია მონაცემთა სუბიექტისთვის და ხელს უწყობს დამუშავების გამჭვირვალობას.</p> <p>დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირებს შეუძლიათ ალგორითმის შესახებ გამჭვირვალობის უზრუნველყოფისთვის გამოიყენონ ვიზუალიზაციის და ინტერაქციული ტექნიკები.⁵³</p> |
| 6(1)(a) | თანხმობა, როგორც დამუშავების საფუძველი | <p>თუ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ეყრდნობა თანხმობას, როგორც დამუშავების საფუძველს, იგი ვალდებულია, გაეცნოს WP29-ის სახელმძღვანელო პრინციპებს თანხმობის შესახებ, WP259.</p> |
| 15 | წვდომის უფლება | <p>დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს შეუძლია განიხილოს იმგვარი მექანიზმის დანერგვის შესაძლებლობა, რომელიც მონაცემთა სუბიექტს საშუალებას მისცემს, გადაამოწმოს საკუთარი პროფილი, მათ შორის, პროფილის შესაქმნელად გამოყენებული ინფორმაცია და წყაროები.</p> |
| 16 | მონაცემთა გასწორების უფლება | <p>დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირები, რომლებიც მონაცემთა სუბიექტს უზრუნველყოფენ საკუთარ პროფილზე წვდომით, მე-15 მუხლით დაცული უფლების ჭრილში, მონაცემთა სუბიექტებს, აგრეთვე, საშუალებას უნდა აძლევდნენ, განაახლონ საკუთარი მონაცემები ან პროფილი ან გაასწორონ მასში არსებული უზუსტობები.</p> <p>ეს მათ დაეხმარება 5(1)(d) მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაში.</p> <p>მიზანშეწონილია, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირებმა დანერგონ პრეფერენციების ონლაინ მართვის ინსტრუმენტები, როგორცაა, პერსონალური მონაცემების დაცვის დაფა (privacy dashboard), რაც მონაცემთა სუბიექტებს მისცემს შესაძლებლობას, თავად მართონ საკუთარი მონაცემები, სხვადასხვა სერვისებთან მიმართებით - შეცვალონ პარამეტრები, განაახლონ პირადი დეტალები და გადახედონ საკუთარ პროფილს და დაარედაქტირონ იგი, რათა გაასწორონ უზუსტობები.</p> |

⁵³ ინფორმაციის კომისრის ოფისი – დიდი მონაცემები, ხელოვნური ინტელექტი, მანქანური სწავლება და მონაცემთა დააცვა, ვერსია 2.0, 03/2017. გვ. 87, პ. 194, 2017 წლის მარტი. <https://ico.org.uk/media/for-organisations/documents/2013559/big-data-ai-ml-and-data-protection.pdf>, ნანახია 2017 წლის 24 აპრილს.

| | | |
|--------------------------------------|--|--|
| 21(1) და (2) | დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნის უფლება | <p>21-ე მუხლის (1) და (2) პუნქტებით გათვალისწინებული დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნის უფლება მონაცემთა სუბიექტს უნდა განემარტოს ცალსახად და წარედგინოს მკაფიოდ, სხვა ინფორმაციისგან განცალკევებით (მუხლი 21(4)).</p> <p>დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა უზრუნველყოს ამ უფლების შესახებ ინფორმაციის თვალსაჩინოდ განთავსება თავის ვებსაიტზე ან ნებისმიერ რელევანტურ დოკუმენტაციაში. ეს ინფორმაცია არ უნდა იყოს „ჩამალული“ სხვა წესებსა და პირობებს შორის.</p> |
| 22-ე მუხლი და პრეამბულის 71-ე პუნქტი | სათანადო დაცვის საშუალებები (გარანტიები) | <p>ქვემოთ წარმოდგენილი სია, რომელიც არ არის ამომწურავი, უზრუნველყოფს რეკომენდაციებს კარგ პრაქტიკასთან დაკავშირებით, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირებისთვის და ეხება გადაწყვეტილებების მიღებას მხოლოდ ავტომატიზებული დამუშავების საფუძველზე, პროფაილინგის ჩათვლით (განსაზღვრულია 22(1) მუხლში):</p> <ul style="list-style-type: none"> • სისტემების ხარისხის რეგულარული შემოწმება, რათა ფიზიკური პირებისადმი მიდგომა იყოს სამართლიანი და არ დაექვემდებარონ ისინი დისკრიმინაციას, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების საფუძველზე ან სხვა საფუძველზე; • ალგორითმული აუდიტი - გამოყენებული და მანქანური სწავლების სისტემების მიერ შემუშავებული ალგორითმების ტესტირება, რათა შემოწმდეს, რომ ისინი მართლაც სათანადოდ მოქმედებენ და არ წარმოშობენ დისკრიმინაციულ, მცდარ ან გაუმართლებელ შედეგებს; • დამოუკიდებელი „მესამე მხარის“ აუდიტისთვის (როდესაც გადაწყვეტილების მიღება ეფუძნება პროფაილინგს და მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ფიზიკურ პირზე), აუდიტორისთვის ყველა საჭირო ინფორმაციის მიწოდება იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს ალგორითმი ან მანქანური სწავლების სისტემა; • მესამე მხარის ალგორითმებთან დაკავშირებით, სახელშეკრულებო გარანტიების მიღება, რომ ჩატარებულია აუდიტი და ტესტირება, ხოლო ალგორითმი შეესაბამება შეთანხმებულ სტანდარტებს; |

| | | |
|--|--|--|
| | | <ul style="list-style-type: none"> • მონაცემთა მინიმიზაციის სპეციფიკური ზომები უნდა მოიცავდეს გამოყენებული პროფილებისა და ამ პროფილების შესაქმნელად გამოყენებული პერსონალური მონაცემების შენახვის მკაფიო ვადებს; • ანონიმიზაციის ან ფსევდონიმიზაციის ტექნიკების გამოყენება პროფაილინგის კონტექსტში; • მონაცემთა სუბიექტების მიერ საკუთარი მოსაზრების და გადაწყვეტილებისადმი თანხმობის გამოხატვის გზები; და • მექანიზმები, რომლებიც განსაზღვრულ შემთხვევებში შესაძლოა მოიცავდეს გასაჩივრების პროცესის ბმულის უზრუნველყოფას მონაცემთა სუბიექტისათვის ავტომატიზებული დამუშავების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტში. აღნიშნული პროცესი შესაძლოა, მოიცავდეს საჩივრის განხილვის შეთანხმებულ ვადებს და შესაბამისი საკონტაქტო პირის მონაცემებს. <p>დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირებს შეუძლიათ, აგრეთვე, განიხილონ ისეთი შესაძლებლობები, როგორცაა:</p> <ul style="list-style-type: none"> • სერტიფიცირების მექანიზმები დამუშავების ოპერაციებისთვის; • ქცევის კოდექსები აუდიტის პროცესებისთვის, მანქანურ სწავლებასთან დაკავშირებით; • ეთიკის საბჭო, რომელიც შეაფასებს პროფაილინგის გამოყენების პოტენციურ ზიანს და სარგებელს საზოგადოებისთვის. |
|--|--|--|

დანართი 2 – GDPR-ის ძირითადი დებულებები

GDPR-ის ძირითადი დებულებები, რომლებიც ეხება ზოგად პროფაილინგს და ავტომატიზებულ გადაწყვეტილების მიღებას

| მუხლი | პრეამბულის პუნქტი | კომენტარი |
|---------|-------------------|--|
| 3(2)(b) | 24 | <p>მონაცემთა სუბიექტის ქცევის მონიტორინგი, თუ ამ ქცევას ადგილი აქვს ევროკავშირში</p> <p>პრეამბულის 24-ე პუნქტი</p> <p>„ინტერნეტში ფიზიკური პირების მიერ განხორციელებულ მოქმედებებზე დაკვირვება, მათ შორის, მონაცემთა შემდგომი დამუშავების მეთოდების შესაძლო გამოყენების გზით, რომელიც მოიცავს ფიზიკური პირის პროფაილინგს მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მისაღებად ან მისი პირადი ინტერესების, ქცევის და დამოკიდებულებების წინასწარ განსაზღვრის მიზნით.“</p> |
| 4(4) | 30 | <p>მუხლი 4(4) პროფაილინგის განმარტება</p> <p>პრეამბულის 30-ე პუნქტი</p> <p>„ფიზიკური პირები შესაძლოა დაკავშირებულ იქნან მათი ტექნიკური მოწყობილობების, აპლიკაციების, ინსტრუმენტების და პროტოკოლების, როგორცაა ინტერნეტის პროტოკოლის მისამართის, მზა ჩანაწერების იდენტიფიკატორების ან სხვა ტიპის იდენტიფიკატორების, როგორცაა რადიო სიხშირის საიდენტიფიკაციო იარაღი, ელექტრონულ იდენტიფიკატორებთან. აღნიშნულმა შესაძლოა დატოვოს კვალი, რომელიც იძლევა შესაძლებლობას შეიქმნას ფიზიკური პირების პროფილები და მოხდეს მათი იდენტიფიცირება.“</p> |
| 5 და 6 | 72 | <p>პრეამბულის 72-ე პუნქტი</p> <p>„პროფაილინგი ექვემდებარე ამ რეგულაციის ნორმებს, რომლებიც არეგულირებს პერსონალური მონაცემების დამუშავებას, როგორცაა დამუშავების სამართლებრივი საფუძვლები (მუხლი 6) ან მონაცემთა დამუშავების პრინციპები (მუხლი 5).“</p> |

| | | |
|-----------------|----|---|
| 8 | 38 | <p>პროფაილინგისთვის არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების გამოყენება</p> <p>პრეამბულის 38-ე პუნქტი:</p> <p>„არასრულწლოვნები სარგებლობენ პერსონალური მონაცემების დაცვის განსაკუთრებული უფლებით კერძოდ, ამგვარი განსაკუთრებული დაცვა უნდა შეეხოს არასრულწლოვნების პერსონალური მონაცემების გამოყენებას პიროვნების ან მომხმარებლის პროფილის შექმნის [მიზნით]“.</p> |
| 13 და 14 | 60 | <p>ინფორმაციის მიღების უფლება</p> <p>პრეამბულის მე-60 პუნქტი:</p> <p>„ამას გარდა, მონაცემთა სუბიექტი ინფორმირებული უნდა იქნას პროფაილინგის არსებობის და ამგვარი პროფაილინგის შედეგების შესახებ“.</p> |
| 15 | 63 | <p>წვდომის უფლება</p> <p>პრეამბულის 63-ე პუნქტი:</p> <p>„მონაცემთა ყველა სუბიექტს აქვს უფლება, რომ იცოდეს და მიიღოს ინფორმაცია პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნების, ვადისა და მიმღებების შესახებ, ასევე პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავების პრინციპის და შედეგების შესახებ, სულ მცირე, პროფაილინგის შემთხვევებში.“</p> |
| 21(1)(2) და (3) | 70 | <p>პროფაილინგის შეწყვეტის მოთხოვნის უფლება</p> <p>პრეამბულის 70-ე პუნქტი</p> <p>„.....მონაცემთა სუბიექტს აქვს უფლება ნებისმიერ დროს მოითხოვოს დამუშავების, მათ შორის პროფაილინგის შეწყვეტა, რამდენადაც ის დაკავშირებულია პირდაპირ მარკეტინგთან.“</p> |
| 23 | 73 | <p>პრეამბულის 73-ე მუხლი:</p> <p>„შეზღუდვები, რომლებიც უკავშირდება ... კონკრეტულ პრინციპებსა და უფლებებს, ... აგრეთვე პროფაილინგის საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, ... შეიძლება განისაზღვროს ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონით, რამდენადაც ეს დემოკრატიულ</p> |

| | | |
|----------|----|---|
| | | საზოგადოებაში არის აუცილებელი და პროპორციული ზომა საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად.“ |
| 35(3)(a) | 91 | DPIA აუცილებელია „ფიზიკურ პირებთან დაკავშირებული პერსონალური ასპექტების სისტემატური და ფართომასშტაბიანი შეფასების შემთხვევაში, რომელიც დაფუძნებულია ავტომატიზებულ დამუშავებაზე, მათ შორის, პროფაილინგზე, და რომელსაც ეყრდნობა გადაწყვეტილებები, რომლებიც წარმოშობენ სამართლებრივ შედეგებს ფიზიკური პირისთვის ან მსგავსი არსებითი მნიშვნელობის მქონე სხვა შედეგებს;“ მოიცავს გადაწყვეტილების მიღებას, მათ შორის, პროფაილინგს, რომელიც არ არის მხოლოდ ავტომატიზებული. |

GDPR-ის ძირითადი დებულებები, რომლებიც უთითებს ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღებაზე, რომელიც განსაზღვრულია 22-ე მუხლში

| მუხლი | პრეამბულის პუნქტი | კომენტარები |
|----------------------------|-------------------|--|
| 13(2)(f) და 14(2)(g) | 61 | ინფორმაციის მიღების უფლება შემდეგზე: <ul style="list-style-type: none"> • 22-ე მუხლის 1-ელ და მე-4 პუნქტებში განსაზღვრული ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღების არსებობა • მნიშვნელოვანი/არსებითი ინფორმაცია გამოყენებული ლოგიკის შესახებ; • დამუშავების მნიშვნელობა და გათვალისწინებული შედეგები. |
| 15(h) | | სპეციფიკური უფლებები: მხოლოდ ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღების, მათ შორის, პროფაილინგის არსებობის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება |
| 22(1) | 71 | მხოლოდ ავტომატიზებული დამუშავების, მათ შორის, პროფაილინგის საფუძველზე იმგვარი გადაწყვეტილების მიღების აკრძალვა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ/მსგავსი არსებითი მნიშვნელობის მქონე შედეგებს. |

| | | |
|--|--|--|
| | | <p>იმ განმარტებებთან ერთად, რომელსაც შეიცავს სახელმძღვანელო პრინციპების ძირითადი ნაწილი, ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხები განავრცობს 22-ე მუხლის აკრძალვის სახით წაკითხვის არგუმენტებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • მართალია, III თავი ეხება მონაცემთა სუბიექტის უფლებებს, 12-22 მუხლებში წარმოდგენილი დებულებები არ ეხება მხოლოდ უფლებების აქტიურ განხორციელებას. ზოგიერთი ეს უფლება არის პასიური; ისინი არ არიან დაკავშირებული სიტუაციებთან, სადაც მონაცემთა სუბიექტი ქმედებას ახორციელებს, ე.ი., წარადგენს მოთხოვნას ან საჩივარს. 15-18 მუხლები და 20-21 მუხლები ეხება მონაცემთა სუბიექტის მიერ საკუთარი უფლებების აქტიურად განხორციელებას, თუმცა, 13 და 14 მუხლები ეხება მოვალეობებს, რომლებიც დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა განახორციელოს, მონაცემთა სუბიექტის აქტიური ჩართულობის გარეშე. ამრიგად, 22-ე მუხლის გათვალისწინება ამ თავის ქვეშ, ცალკე აღებული, არ ნიშნავს, რომ იგი წარმოადგენს დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნის უფლებას. • 12(2) მუხლი ეხება მონაცემთა სუბიექტის მიერ 15-22 მუხლებით გათვალისწინებული უფლებების განხორციელებას; თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ თავად 22(1) მუხლი განმარტებული უნდა იქნას, როგორც უფლება. 22-ე მუხლი შეიცავს აქტიურ უფლებას, თუმცა, იგი იმ გარანტიების შემადგენელი ნაწილია, რომელიც გამოყენებული უნდა იქნას იმ შემთხვევებში, სადაც დაშვებულია ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღება (მუხლები 22(2)(a-c)) - ადამიანური რესურსის ჩართვის მოთხოვნის უფლება, საკუთარი მოსაზრების გამოხატვის უფლება და გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება. იგი მოქმედებს მხოლოდ აღნიშნულ შემთხვევებში, რადგან აკრძალულია 22(1) მუხლში აღწერილი დამუშავების განხორციელება სხვა საფუძვლებით; • 22-ე მუხლი წარმოდგენილია GDPR-ის იმ ნაწილში, რომელსაც ეწოდება „მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნის უფლება და ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღება“, რაც ნიშნავს იმას, რომ 22-ე მუხლი არ არის დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნის უფლება (ანუ, 21-ე მუხლი). ამას |
|--|--|--|

| | | |
|-------------|----|---|
| | | <p>დამატებით ხაზს უსვამს ის ფაქტი, რომ 22-ე მუხლი არ შეიცავს ინფორმირების ისეთივე მკაფიო/ცალსახა ვალდებულებას, რომელსაც შეიცავს 21(4) მუხლი;</p> <ul style="list-style-type: none"> • 22-ე მუხლი რომ განიმარტოს, როგორც დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნის უფლება, 22(2)(c) მუხლში წარმოდგენილი გამონაკლისი გაუგებარი იქნებოდა. ამ გამონაკლისის თანახმად, ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია განხორციელდეს, თუ მონაცემთა სუბიექტს გაცემული აქვს მკაფიო/ცალსახა თანხმობა (იხ. ქვემოთ). ეს იქნებოდა წინააღმდეგობრივი, ვინაიდან შეუძლებელია, რომ მონაცემთა სუბიექტმა მოითხოვოს შეწყვეტა და გამოხატოს თანხმობა ერთი და იგივე დამუშავების მიმართ; • დამუშავების შეწყვეტა ნიშნავს იმას, რომ ადამიანური რესურსის ჩართვა უნდა იქნას უზრუნველყოფილი. 22(2) მუხლის (a) და (c) პუნქტებით გათვალისწინებული გამონაკლისები 22(1) მუხლში წარმოდგენილ ამ ძირითად წესს გადაწონის, თუმცა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მონაცემთა სუბიექტისთვის ხელმისაწვდომია ადამიანური რესურსის ჩართვა, 22(3) მუხლის შესაბამისად. ვინაიდან მონაცემთა სუბიექტმა (დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნით) უკვე მოითხოვა ადამიანური რესურსის ჩართვა, ნებისმიერ შემთხვევაში ავტომატურად მოხდება 22(2) მუხლის (a) და (c) პუნქტების გვერდის ავლა, რაც მათ ფაქტობრივად უსარგებლოს გახდის. <p>პრეამბულის 71-ე პუნქტი:</p> <p>„... ამგვარ დამუშავებას წარმოადგენს ‘პროფაილინგი’, რომელიც წარმოადგენს პერსონალური მონაცემების ნებისმიერ ავტომატურ დამუშავებას ფიზიკური პირის გარკვეული პიროვნული მახასიათებლების შესაფასებლად, კერძოდ, ფიზიკური პირის დასაქმების ადგილზე მუშაობის, ეკონომიკური მდგომარეობის, ჯანმრთელობის, პერსონალური მიდრეკილებების, ინტერესების, სანდოობის, ქცევის, ადგილმდებარეობის ან გადაადგილების ასპექტების ანალიზსა და პროგნოზირებას“ „ეს ზომა არ უნდა ეხებოდეს არასრულწლოვანს“</p> |
| 22(2)(a- c) | 71 | 22(2) მუხლი აუქმებს აკრძალვას იმ შემთხვევაში, როდესაც დამუშავება ეფუძნება (a) ხელშეკრულების გაფორმებას ან |

| | | |
|----------|----|--|
| | | <p>შესრულებას, (b) ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონს, ან (c) ცალსახა/მკაფიო თანხმობას.</p> <p>პრეამბულის 71-ე პუნქტი უზრუნველყოფს დამატებით კონტექსტს 22(2)(b) მუხლთან დაკავშირებით და აცხადებს, რომ 22(1) მუხლში აღწერილი დამუშავება:</p> <p>„დასაშვებია, თუ ცალსახად ნებადართულია ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონით, რომელიც ვრცელდება დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირზე, მათ შორის გაყალბებისა და გადასახედების თავიდან აცილების მონიტორინგისა და პრევენციისთვის, რომლებიც ხორციელდება ევროკავშირის ინსტიტუტებისა და ეროვნული ზედამხედველობის ორგანოების რეგულაციების, სტანდარტებისა და რეკომენდაციების შესაბამისად და დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის სერვისების უსაფრთხოებისა და სანდოობის უზრუნველსაყოფად....“</p> |
| 22(3) | 71 | <p>22(3) მუხლი და პრეამბულის 71-ე პუნქტი, აგრეთვე, ადგენს, რომ 22(2) მუხლის (a) და (c) პუნქტებში მითითებულ შემთხვევებშიც კი, დამუშავება უნდა დაექვემდებაროს სათანადო გარანტიებს.</p> <p>პრეამბულის 71-ე პუნქტი:</p> <p>„რომლებიც შეიძლება მოიცავდეს მონაცემთა სუბიექტისათვის კონკრეტული ინფორმაციის მიწოდებას და სუბიექტის უფლებას მოითხოვოს ადამიანის ჩარევა, ასევე აზრის გამოხატვისა და ამგვარ შეფასებაზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებაზე განმარტების მიღების და გასაჩივრების უფლებებს. ეს ზომა არ უნდა ეხებოდეს არასრულწლოვანს.“</p> |
| 23 | 73 | <p>პრეამბულის 73-ე პუნქტი:</p> <p>„შეზღუდვები, რომლებიც უკავშირდება ... კონკრეტულ პრინციპებსა და უფლებებს, ... აგრეთვე პროფაილინგის საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, ... შეიძლება განისაზღვროს ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონით, რამდენადაც ეს დემოკრატიულ საზოგადოებაში არის აუცილებელი და პროპორციული ზომა საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად.“</p> |
| 35(3)(a) | 91 | DPIA-ს განხორციელების მოთხოვნა. |

| | | |
|----------|--|---|
| 47(2)(e) | | <p>სავალდებულო ძალის მქონე კორპორაციული წესები, რომელზეც 47(1) მუხლი მიუთითებს, სულ მცირე, უნდა ადგენდეს მონაცემთა სუბიექტის უფლებას, „მის შესახებ გადაწყვეტილება არ იქნას მიღებული მხოლოდ ავტომატიზებული საშუალებებით, მათ შორის 22-ე მუხლით გათვალისწინებული პროფაილინგის მეშვეობით.“</p> |
|----------|--|---|

დანართი 3 - დამატებითი საკითხავი

წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპებში გათვალისწინებულია შემდეგი მასალები:

- WP29-ის საკონსულტაციო დოკუმენტი პროფაილინგის განმარტების ძირითადი ელემენტების შესახებ, ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის შესაბამისად, მიღებულია 2013 წლის 13 მაისს;
- WP29-ის დასკვნა 2/2010 ონლაინ ქცევაზე დაფუძნებული მარკეტინგის შესახებ, WP171;
- WP29-ის დასკვნა 03/2013 მიზნის შეზღუდვის შესახებ, WP 203;
- WP29-ის დასკვნა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ლეგიტიმური ინტერესების ცნების შესახებ, 95/46/EC დირექტივის მე-7 მუხლის მიხედვით, WP217
- WP29-ის განცხადება მონაცემთა დაცვის სამართლებრივ ჩარჩოებში რისკზე დაფუძნებული მიდგომის როლის შესახებ, WP218;
- WP29-ის დასკვნა 8/2014 საგანთა ინტერნეტის სფეროში ბოლოდროინდელი განვითარებების შესახებ, WP223;
- WP29-ის სახელმძღვანელო პრინციპები მონაცემთა დაცვის ოფიცრების შესახებ (DPOs), WP243;
- WP29-ის სახელმძღვანელო პრინციპები დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან უფლებამოსილი პირის წამყვანი საზედამხედველო ორგანოს იდენტიფიცირების შესახებ, WP244;
- WP29-ის სახელმძღვანელო პრინციპები თანხმობის შესახებ, WP259
- WP29-ის სახელმძღვანელო პრინციპები გამჭვირვალობის შესახებ, WP260
- ევროპის საბჭო. რეკომენდაცია CM/Rec(2010)13 პროფაილინგის კონტექსტში პერსონალური მონაცემების ავტომატიზებულ დამუშავებასთან დაკავშირებით ფიზიკური პირების დაცვის შესახებ;
- ევროპის საბჭო. სახელმძღვანელო პრინციპები ფიზიკური პირების დაცვის შესახებ, პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით, დიდი მონაცემების სამყაროში, 01/2017
- ინფორმაციის კომისრის ოფისი - დიდი მონაცემები, ხელოვნური ინტელექტი, მანქანური სწავლება და მონაცემთა დაცვა, ვერსია 2.0, 03/2017
- ავსტრალიის ინფორმაციის კომისრის ოფისი. საკონსულტაციო პროექტი: სახელმძღვანელო დიდი მონაცემების და ავსტრალიის მონაცემთა დაცვის პრინციპების შესახებ, 05/2016
- ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველის (EDPS) დასკვნა 7/2015 – დიდ მონაცემებთან დაკავშირებული გამოწვევების დამლევა, 2015 წლის 19 ნოემბერი.
- Datatilsynet – დიდი მონაცემები – პერსონალური მონაცემების დაცვის პრინციპები ზეწოლის ქვეშ 09/2013

- ევროპის საბჭო. კონვენცია პერსონალური მონაცემების ავტომატურ დამუშავებასთან დაკავშირებით ფიზიკური პირების დაცვის შესახებ - 208-ე მოდერნიზებული კონვენციის განმარტებითი ანგარიშის პროექტი, 2016 წლის აგვისტო

- Datatilsynet – დიდი მონაცემების რბოლა – რა საფრთხეებს უქმნის პერსონალური მონაცემების კომერციული გამოყენება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ანგარიში, 2015 წლის ნოემბერი.

- ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველი – იმ ზომების აუცილებლობის შეფასება, რომლებიც ზღუდავს პერსონალური მონაცემების დაცვის ფუნდამენტურ უფლებას: ინსტრუმენტთა კრებული

- ევროპის საზედამხედველო ორგანოთა ერთობლივი კომიტეტი. ერთობლივი კომიტეტის სადისკუსიო დოკუმენტი დიდი მონაცემების ფინანსური ინსტიტუტების მიერ გამოყენების შესახებ, 2016-86. https://www.esma.europa.eu/sites/default/files/library/jc-2016-86_discussion_paper_big_data.pdf.

- Commission de la protection de la vie privée. Big Data Rapport

<https://www.privacycommission.be/sites/privacycommission/files/documents/BigDatavoorMindMap2022-02-17%20fr.pdf>.

- აშშ-ს სენატი, ვაჭრობის, მეცნიერების და ტრანსპორტის კომიტეტი. მონაცემთა ბროკერების ინდუსტრიის მიმოხილვა: მომხმარებლების შესახებ მონაცემების შეგროვება, გამოყენება და გაყიდვა მარკეტინგული მიზნებისთვის, სენატორი როკფელერისთვის მომზადებული ანგარიში, 2013 წლის 18 დეკემბერი. https://www.commerce.senate.gov/public/_cache/files/0d2b3642-6221-4888-a631-08f2f255b577/AE5D72CBE7F44F5BFC846BECE22C875B.12.18.13-senate-commerce-committee-report-on-data-broker-industry.pdf

- Lilian Edwards & Michael Veale. Slave to the Algorithm? Why a 'Right to an Explanation' is probably not the remedy you are looking for. კვლევის ანგარიში, გამოქვეყნდა: 2017 წლის 24 მაისს. https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2972855

- NYTimes.com. Showing the Algorithms behind New York City Services.

<https://mobile.nytimes.com/2017/08/24/nyregion/showing-the-algorithms-behind-new-york-city-services.html?referer=https://t.co/6uUVVjOIXx?amp=1>. Accessed 24 August 2017

- ევროპის საბჭო. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/REC(2018)x წევრი სახელმწიფოების მიმართ, რომელიც ეხება სახელმძღვანელო პრინციპებს ციფრულ გარემოში ბავშვთა უფლებების ხელშეწყობის, დაცვის და განხორციელების კუთხით (გადახედილი ვერსია, 2017 წლის 25 ივლისი). <https://www.coe.int/en/web/children/-/call-for-consultation-guidelines-for-member-states-to-promote-protect-and-fulfil-children-s-rights-in-the-digital-environment?inheritRedirect=true&redirect=%2Fen%2Fweb%2Fchildren>. ნანახია 2017 წლის 31 აგვისტოს.

- Unicef. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, პერსონალური ინფორმაციის და რეპუტაციის უფლების დაცვა. სადისკუსიო დოკუმენტთა სერია: ბავშვთა უფლებები და ბიზნესი ციფრულ

სამყაროში. https://www.unicef.org/csr/files/UNICEF_CRB_Digital_World_Series_PRIVACY.pdf.
ნანახია 2017 წლის 31 აგვისტოს.

- ლორდთა პალატა. Growing up with the internet. კომუნიკაციების კომიტეტი, 2016 – 17
სესიების მეორე ანგარიში.
https://publications.parliament.uk/pa/ld201617/ldselect/ldcomuni/130/1300_2.htm. ნანახია 2017
წლის 31 აგვისტოს.

- Sandra Wachter, Brent Mittelstadt and Luciano Floridi. Why a right to explanation of automated
decision-making does not exist in the General Data Protection Regulation, 2016 წლის 28 დეკემბერი,
https://www.turing.ac.uk/research_projects/data-ethics-group-deg/. ნანახია 2017 წლის 31
აგვისტოს.

- Sandra Wachter, Brent Mittelstadt and Chris Russell. Counterfactual explanations Without Opening
the Black Box: Automated Decisions and the GDPR, 2017 წლის 6 ოქტომბერი.
https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=3063289. Accessed 13 December 2017

- ავსტრალიის მთავრობა. Better Practice Guide, Automated Assistance in Administrative Decision-
Making. Six steps methodology, plus summary of checklist points, ნაწილი 7, 2007 წლის თებერვალი.
<https://www.oaic.gov.au/images/documents/migrated/migrated/betterpracticeguide.pdf>. ნანახია 2018
წლის 9 იანვარს.